ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბადრი კობიაშვილი

პოპმუსიკის კულტურული და იდეური ღირებულებების რეცეფცია ქართულ მასმედიაში

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარი წერეთელი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის - „პოპმუსიკის კულტურული და იდეური ღირებულებების რეცეფცია ქართულ მასმედიაში“ მიზანია, შეისწავლოს მსოფლიო პოპმუსიკის რა სოციალური, კულტურული და იდეური ღირებულებები ვრცელდება ქართულ მასმედიაში. რომელი თემები, მიმდინარეობები და შემსულებლები არიან ონლაინ გამოცემებისა და ტელევიზიებისთვის ყველაზე საინტერესო. კვალიფიციურად შუქდება თუ არა ქართულ მედიაში თანამედროვე პოპმუსიკის ტენდენციები. დასავლურ პოპმუსიკაში წამოჭრილი რომელი საკითხებია ქართული მედიისთვის აქტუალური. გამართულია თუ არა პროფესიული ენა და ქმნის თუ არა მედია პოპულარული მუსიკის გაშუქებისას სტერეოტიპებს. ნაშრომში ასევე მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც კვლევის პროცესში ემპირიული ანალიზის დროს გამოიკვეთა.

თანამედროვე პოპმუსიკამ დღეს ფართო მასშტაბები შეიძინა. მისი ინტერესის სფეროში არაერთი თემა ექცევა. პოპულარულ მუსიკას მილიონობით მომხმარებელი ჰყავს, ის მსოფლიოს იდეებსა და ტენდენციებს კარნახობს. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დავკვირვებოდით პოპულარული მუსიკის ღირებულებითი სისტემის ქართულ მედიაში რეცეფციის პროცესს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მედია პოპულარული მუსიკის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა, ამიტომ, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ნაშრომი ქართულ სამეცნიერო წრეებში პოპკულტურის ამ მიმართულებისა და მედიის ურთიერთკავშირის სიღრმისეულ შესწავლას წაახალისებს.

ნაშრომის ფარგლებში კვლევა განხორციელდა 2017 წლის იანვრიდან, 2019 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში სამ ონლაინგამოცემაზე Popmusic.ge, On.ge, At.ge და ნაციონალურ მაუწყებლებზე “რუსთავი 2“-ზე, „იმედსა“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“. ეს მედიასაშუალებები რეიტინგისა და პოპმუსიკისადმი ინტერესის

პრინციპით შეირჩა. ნაშრომში გამოყენებულია კონტენტ-ანალიზის მეთოდი. თეორიულ ჩარჩოდ კი - „გამოყენების და კმაყოფილების“, ასევე „აუდიტორიისა და მედიის პოპკულტურაზე დამოკიდებულების თეორიები“.

კვლევამ ორი ჰიპოთეზა დაადასტურა, ერთის სისწორე კი არ გამოიკვეთა. ნაშრომში წარმოდგენილია შედეგები, რომლის მიხედვითაც, ქართულ მედიაში კვალიფიციურად არ შუქდება თანამედროვე პოპმუსიკის ტენდენციები. მედიაარხებისათვის პოპულარულ მუსიკაში წამოჭრილი სოციალური, კულტურული და პოლიტიკურ საკითხებია საინტერესო. ქართული მედია დასავლური პოპმუსიკის გლობალისტურ იდეოლოგიას არ იზიარებს, თუმცა, პოპულარულ მუსიკაში ფორმირებული სხვადასხვა ტენდენციის რეცეფციას აქტიურად ცდილობს.

კვლევამ ასევე გვაჩვენა, რომ ქართულ მედიაში პოპულარული მუსიკის გაშუქებისას საქართველოში მიმდინარე საპროტესტო სულისკვეთება აისახება. ქართულ მედიაზე დაკვირვებამ სტერეოტიპების გავრცელების ტენდენცია გამოკვეთა, ასევე, პოპმუსიკის გაშუქებისას პროფესიული ენის მხრივ ხარვეზების არსებობა გამოავლინაა.

ABSTRACT

The Reception of cultural and ideological values of Pop music in Georgian mass media

Author: Badri Kobiashvili

Master's thesis "The Reception of cultural and ideological values of Pop music in Georgian mass media" is aimed to study which social, cultural and ideal values of world pop music spread in Georgian mass media. Which themes, progresses and performances are more interesting for online publications and TV? Whether the tendencies of pop music are shown properly in Modern Georgian media or not. Which issues of western pop-music are actual in Georgian media? Is the professional language well-arranged and is the media creating the stereotypes of popular music or not? This paper also provides recommendations that have been identified during the research process using empirical analysis.

Modern pop music has acquired a wide range of scales today. There are many themes of interest in this field. Popular music has millions of users, dictating world ideas and trends. That's why we have considered observing the process of the reception of the popular music valuable system in the Georgian media. That's important, because the media is one of the main weapons for spreading the popular music. We should mention that such research has not been conducted in Georgia yet, so we hope that our work will encourage the further research of this topic in Georgian scientific circles.

Within the framework of this work, research was conducted on three online publications, including Popmusic.ge, On.ge, At.ge. Also on National Broadcasters: Rustavi 2, Imedi and Georgian Public Broadcaster, from January 2017 to March 2019. These concrete media were chosen according to the high ratings and interest in the coverage of pop-music. As a method of research we have used a method of content analysis. Theoretical framework - the theory of use and gratifications, as well as A Theory of Audience and Media dependency on Popular Culture.

The research has confirmed two of our three hypotheses. The rest one appeared to be wrong. As a result of our research, the Georgian media does not cover the trends of modern pop-music tendency properly. For the media channels social, cultural and political issues arising in popular music are more interesting. The Georgian media does not share the globalist ideology of western pop music, but is actively trying to replicate the different trends of popular music.

The research has also shown that the popular music in the Georgian media is reflected in the current protest's spirits in Georgia. The observation of Georgian media has revealed the tendency of spreading stereotypes, as well as the inaccuracy of professional language during the coverage of pop music.

შინაარსი

ანოტაცია 2
შესავალი 6
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 10
1.2 კვლევის მეთოდოლოგია..... 16
1.3 კვლევის დიზაინი 18
თავი 2. კვლევის შედეგები 21
2.1 მედიაგზავნილების ანალიზი 25
2.2. სტერეოტიპიზაცია 55
2.3 პროფესიული ენა..... 61
თავი 3. თეორიული ჩაროს მიმართება კვლევის ობიექტებთან.....63
დასკვნა 67
რეკომენდაციები 72
გამოყენებული ლიტერატურა 73

შესავალი

პოპულარული მუსიკა თანამედროვე პოპკულტურის განუყოფელი ნაწილია. პოპმუსიკასთან ადამიანების უმრავლესობას შეხება ყოველდღიურად აქვს, ის გვესმის ყველგან - ქუჩაში, მედიაში, გასართობ დაწესებულებებში, სხვადასხვა აქციებსა და ღონისძიებებზე. დღესდღეობით მუსიკის ფუნქციამ უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია. იგი ინდივიდების განწყობის შექმნის ეფექტური საშუალებიდან სოციალურ-პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ფენომენად ჩამოყალიბდა.

პოპმუსიკა ფართო მნიშველობის ტერმინია და მოიცავს პოპულარული ჟანრების ერთობლიობას, რომლებსაც, როგორც წესი, მსმენელების დიდი აუდიტორიის ყოლა ახასიათებთ. პოპულარული მუსიკა უკვე კარგა ხანია გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე. ის ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესების წამოწყებას, სოციალური აქტივობების სტიმულირებას. ამას ადასტურებს ავსტრალიის „ადამიანთა უფლებების კომისიის“ კვლევაც, რომლის შედეგების თანახმად, პოპმუსიკა დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა ჯგუფების დარაზმვისა და სტერეოტიპების გავრცელების პროცესში (Australian Human Rights Commission, 2002).

პოპმუსიკა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში გადაიქცა პლატფორმად, რომლის დახმარებითაც ადამიანებს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მოვლენების მიმართ პროტესტის გამოხატვა შეეძლოთ. განსაკუთრებით მისი ეს ფუნქცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოიკვეთა. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან როკ-ენ-როლმა და როკმა ახალგაზრდების კონსოლიდაცია მოახერხა. ყველაზე მძლავრი როკ მუსიკა ვიეტნამის ომის საპროტესტო სულისკვეთების მომძლავრების პროცესში აღმოჩნდა. ვიეტნამში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების წინააღმდეგ მაშინ გამოვიდნენ ისეთი დიდი

არტისტები, როგორებიც იყვნენ: ნინა სიმონე, ბობ დილანი, ჯონ ლენონი, The Doors და სხვები. არტისტების აქტიურობამ და ანტიმილიტარისტულმა განწყობებმა მთელი თაობის ღირებულებით სისტემაზე მოახდინა გავლენა.(https://on.cfr.org/2Em3shy) პოპულარული მუსიკა აღმოჩნდა პროტესტის ერთ-ერთი მძლავრი ფორმა „ცივი ომის“ დროსაც და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბერლინის კედლის ნგრევაში. (https://bit.ly/2XWHz5p)(https://n.pr/2ybEqTo)

პოპულარული მუსიკა სოციალურ-პოლიტიკურ ლანდშაპტზე არამარტო გასულ საუკუნეში ახდენდა გავლენას. თანამედროვე სამყაროში ცნობილი არტისტების კომპოზიციები მნიშვნელოვანი სოციალური მოძრაობების მიზნების გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე ეფეტქტურ საშუალებად გადაიქცნენ. მაგალითად, ქენდრიკ ლამარის ტრეკი „Alright“, 2013 წელს შექნილი, სისტემური რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მოძრაობის, „Black Lives Matter“-ის ჰიმნი გახდა.(https://bit.ly/2LeUPMM)

21-ე საუკუნეში პოპმუსიკა რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საშუალებადაც მოგვევლინა. ამის ნათელი მაგალითია 2011 წელს დაარსებული ჯგუფი Pussy Riot, რომელმაც 2012 წელს მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში პანკ ლოცვა "ღვთისმშობელო, განდევნე პუტინი" შეასრულა. ბენდის პერფორმანსი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მმართველობის გასაპროტესტებლად მოეწყო. ამ ქმედების შემდეგ პროექტის სამი წევრი - ნადეჟდა ტოლოკონნიკოვა, მარია ალიოხინა და ეკატერინა სამუშევიჩი, მილიციამ დააკავა და რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი ხულიგნობის მუხლით 2-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს (https://ab.co/2LN5lKM).

პოპულარული არტისტების მოწოდებები და მათი აქტიური სოციალური კამპანიები, სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლების უფლებების პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვედრასაც უწყობს ხელს და მოქალაქეებს მათდამი თანაგრძნობით განაწყობს. მაგალითისთვის, კეტი პერის, მადონას, ლედი გაგას და სხვა სუპერვარსკვლავების შემოქმედებაში „ლგბტ“ თემის მიმართ გამოხატულმა ღია

მხარდაჭერამ 2015 წელს აშშ-ში გეი ქორწინების დაკანონებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. (https://bit.ly/2NNKJEN).

პოპულარული მუსიკა დიდ გავლენას სოციალური და პოლიტიკური მოვლენების გარდა ეკონომიკასა და ტურიზმზე ახდენს. 2018 წელს ბიონსემ და ჯეი ზიმ ლუვრის მუზეუმში სიმღერაზე Apeshit კლიპი გადაიღეს, დაწესებულების წარმომადგენლების განმატებით კი ნამუშევრის გამოსვლის შემდეგ, საგამოფენო სივრცეში მნახველთა რაოდენობამ 25%-ით იმატა(https://bit.ly/2Qldwwg). 2019 წელს ისლანდიაში ტურისტების რეკორდული რაოდენობის გამო ცნობილი კანიონი Fjaðrárgljúfur დროებით დაიხურა. ვიზიტორების ბუმი ქვეყნის გარემოს დაცვის სააგენტომ ჯასტინ ბიბერის ვიდეოკლიპს I'll Show You დაუკავშირა (https://bit.ly/2JgNrhB).

ამ მაგალითებიდან გამომდინარე, ნათლად დასტურდება თემის აქტუალურობა. პოპმუსიკას აქვს ძალა საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები გააქტიუროს, მასები დარაზმოს და იდეები ღიად გაავრცელოს. მას კი ამ ფუნქციების განხორციელებაში მედია ეხმარება. ამიტომ, აუცილებელია შევისწავლოთ მედიაარხებისა და პოპმუსიკის ურთიერთკავშირი, რათა დავადგინოთ, თუ რა იდეები და ღირებულებები ვრცელდება მედიასაშუალებების გავლით.

ბოლო წლებია მასობრივი კომუნიკაციის პროცესში პოპულარული მუსიკის გავლენების კვლევებმა არაერთი წამყვანი უნივერსიტეტი დააინტერესა. ჩვენს ცხოვრებაში მუსიკის ასე დიდი დოზით შემოსვლამ, პოპვარსკვლავების რეპუტაცის ზრდამ და მათმა გავლენებმა პოლიტიკურ დღის წესრიგზე არაერთი მკვლევარი პოპულარული მუსიკის მედიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების კვლევის საჭიროებაში დაარწმუნა.

ვინაიდან პოპულარული მუსიკის დიდ ნაწილს დასავლური ინდუსტრია აწარმოებს, ჩვენი ქვეყანა კი სწორედ ამ სივრცეში ინტეგრაციას ცდილობს, კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განისაზღვროს ქართული გამოცემებისა და მაუწყებლებისთვის შოუ-ბიზნესში წარმოშობილი რა კონკრეტული თემებია

პრიორიტეტული, რათა დავადგინოთ, ცდილობენ თუ არა ნაციონალური მედიაარხები ამა თუ იმ იდეოლოგიის, შეხედულებების პროპაგანდას.

პოპულარული მუსიკის სისტემური კვლევა მნიშნელოვანია, რადგან პოპმუსიკა პოპკულტურის განუყოფელი ნაწილია. პოპულარული კულტურის შესწავლის აუცილებლობის მიზეზებს შორის კომუნიკაციის სპეციალისტი მაიკლ რეალი შემდეგ მახასიათებლებს გამოჰყოფს:

1. „ის ადამიანებს ართობს;

2. ასახავს ადამიანების ცხოვრებას და ახდენს მასზე ზეგავლენას;

3. საყოველთაოდ ავრცელებს იდეებსა და იდეოლოგიას;

4. შეუძლია წამოჭრას სერიოზული პოლიტიკური საკითხები, რომლებსაც კავშირი აქვთ განათლებასთან და სამეცნიერო კვლევასთან;

5. ბოლოს და ბოლოს, პოპულარული კულტურა - ეს ჩვენ ვართ“(დეფლორი, დენისი, 2009).

საკვლევად შევარჩიეთ სამაუწყებლო მედია, ტელეარხები და ონლაინგამოცემები. NDI-ის მიერ 2018 წელს ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ტელევიზია საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების კვლავ ყველაზე პოპულარული საშუალებაა. მეორე ადგილზე კი ინტერნეტი მოდის. ვინაიდან ჩვენ პოპმუსიკაში წამოჭრილი თემების ქართულ მედიაში რეცეფცია გვაინტერესებს, ამიტომ კვლევის მთავარ ობიექტებად სწორედ საზოგადოებისთვის ყველაზე პოპულარული მედიაარხები შევარჩიეთ, რათა ნაშრომი მეტად რელევანტური გამხდარიყო და საშუალება გვქონოდა განგვესაზღვრა, რა ტიპის პოპმუსიკას სთავაზობენ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული მედიასაშუალებები მომხმარებლებს, მსოფლიო პოპმუსიკაში ფორმირებული რა ტენდენციების რეცეფცია ხდება ნაციონალურ მედიაში და ამ სფეროში არსებული მოვლენებიდან თუ

თემებიდან კონკრეტულად რა ღირებულებების მატარებელ მასალებს აწვდიან მედიაორგანიზაციები აუდიტორიას.

მსგავსი კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. ვინაიდან პოპულარული მუსიკის იდეური გავლენები და მისი მასშტაბები მსოფლიოს არაერთი წამყვანი უნივერსიტეტის ინტერესის საგანია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენც დავაკვირდეთ ქართული მედიისა და პოპულარული მუსიკის ურთიერთკავშირს. ვფიქრობთ, ჩვენი მცდელობა პოპკულტურის ქართულ საზოგადოებაზე გავლენების კვლევის პროცესს წაახალისებს, კონკრეტულად კი მედიისათვის ერთ-ერთი ორგანული სფეროს - პოპმუსიკის მედიაგაშუქების სიღრმისეულ შესწავლას შეუწყობს ხელს.

თავი 1. ლიტერატური მიმოხილვა

როგორც ცნობილი ლექსიკოგრაფი რობერტ ალენი განმარტავს, პოპულარული მუსიკა წარმოადგენს ერთობლიობას მრავალფეროვანი მუსიკალური ჟანრებისა(მაგალითად არენბი, ჰიპ ჰოპი, სოული, როკი და ა,შ), რომლებიც მიმართულია მსმენელის დიდ სეგმენტზე(Allen, R. 2004).

მუსიკის ცნობილი სოციოლოგის საიმონ ფრისის, მკვლევრების - ჯონ სთრითისა და ვილ სთროუს მიხედვით, თავად პოპმუსიკა პოპულარული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრია, რომელიც აშშ-სა და ბრიტანეთში 1950-იანი წლების შუა პერიოდში ჩამოყალიბდა. მას დღეს თავისი ინდივიდუალური გამომსახველობითი ფორმები და ჟღერადობა აქვს და არაერთი მიმდინარეობის ელემენტებს მოიცავს(Frith, S. Street, J. Straw, W. 2001).

ჯონ სთორი თავის წიგნში „კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა“ მუსიკის ფენომენის კულტურულ ჭრილში შესწავლას ცდილობს. ის პოპმუსიკის პოლიტიკური ეკონომიის საილუსტრაციოდ ფრანკფურტის სკოლის წამყვანი წევრის, თეოდორ ადორნოს 1941 წელს გამოცემულ კვლევას „პოპულარული

მუსიკის შესახებ“ იმოწმებს. ნაშრომში ავტორი პოპმუსიკას სამ პრეტენზიას უყენებს. პირველი, ის თვლის, რომ პოპულარული მუსიკა სტანდარტიზებულია, რომელშიც ავტორი ამ სფეროში შექმნილი ნაწარმოების ერთფეროვნებას გაიაზრებს. მეორე პრეტენზიის თანახმად კი, პოპმუსიკა პასიურ მოსმენას გულისხმობს, რაც მსმენელში მხოლოდ სტრესის მოხსნის საშუალების ფუნქციამდე დაიყვანება. ადორნოს მესამე პრეტენზიის მიხედვით კი პოპმუსიკა მოქმედებს როგორც „სოციალური დუღაბი“. მისი „სოციო-ფსიქოლოგიური ფუნქციაა“, მიაღწიოს პოპულარული მუსიკის მომხმარებლებში „თანამედროვე ცხოვრების მექანიზმის ფსიქიკურ მოწესრიგებას“. (სთორი, 2007)

მეცნიერი ლეონ როსელსონი თვლის, რომ აუდიტორია, რომელიც მუსიკას პასიურად მოიხმარს, მუსიკის ფენომენისგან იმართება. ავტორი ამტკიცებს, რომ მუსიკალური ინდუსტრია პუბლიკას აძლევს იმას, რაც თავად სურს. ეს ნიშნავს, რომ წარმოების ხერხი განსაზღვრავს მისი მოხმარების ფორმებს: „მუსიკალური პროდუქცია კაპიტალისტურია და, ამდენად კაპიტალისტურია მისი პროდუქციაც, რამდენადაც ატარებს კაპიტალისტურ იდეოლოგიას“(სთორი, 2007).

ჯონ სთორი წიგნში პომუსიკისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართებას ცალკე თავს უძღვნის. ავტორი აქცენტს 60-იანი წლების შუა პერიოდიდან ხმისჩამწერი კომპანიების ტაქტიკაზე აკეთებს, რომლებმაც ფული სწორედ პოლიტიკის საშუალებით იშოვნეს. სთორი ასევე ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური პოპმუსიკის სპეციფიკურ თვისებაზე, რომელსაც ის „ორგანიზებულ პოპმუსიკას“ უწოდებს. ამ ფენომენის საილუსტრაციოდ მას 1976 წელს ერიკ კლეპტონის მხრიდან ენქონ პაუელის რასიზმის მხარდაჭერის შემთხვევა მოჰყავს. ამან პოპის სამყაროში იმდენად დიდი აღშფოთება გამოიწვია, რომ ანტირასისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაც კი განაპირობა. ავტორის აზრით, პოლიტიკურ კამპანიებში პოპულარული მუსიკის გამოყენება პოპმუსიკის პოლიტიკას ქმნის. სთორის დასკვნით, პოპმუსიკას შეუძლია პოლიტიკურად თანადროული გახდეს სხვადასხვა

ხერხის გამოყენებით. ის ამ მოსაზრების დასამტკიცებლად იშველიებს ჯონ სთრითის სიტყვებს, რომელთა მიხედვითაც, „მუსიკის პოლიტიკა არის სახელმწიფო პოლიტიკის, ბიზნესის, ხელოვანთა არჩევანისა და აუდიტორიის მოთხოვნილების ნაზავი“. (სთორი, 2007)

როტერდამისა და ამსტერდამის უნივერსიტეტის მკვლევრებმა მარკ ვერბორდმა და ამანდა ბრანდელერომ მუსიკისა და კულტურის მიმართულებით, გლობალიზაციისა და პოპმუსიკის სიმბიოზი ნაშრომში „პოპმუსიკის გლობალიზაცია, 1960-2010: მუსიკის დინებების მრავალშრიანი ანალიზი“ იკვლიეს, ისინი სხვადასხვა დიდი მუსიკალური ჩარტების დაკვირვების შედეგად, ბოლო წლებში პატარა ქვეყნების მუსიკალური ნაწარმის ჰიტ-აღლუმებში ხშირად მოხვედრის ტენდენციამდე მივიდნენ. კვლევამ კულტურათა ამ გაცვლის პროცესში „ვარსკვლავთა ძალის“ ფენომენის მნიშვნელობა გამოჰკვეთა და დასავლური შოუ-ბიზნესის მსოფლიო ხალხთა პოპულარულ მუსიკაზე დიდი გავლენა აჩვენა (Verboord & Brandellero, 2016).

აღმოსავლეთ ანგლიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ სთრითი წიგნში „მუსიკა და პოლიტიკა“ ხაზს მთავრობების მხრიდან პოპულარული მუსიკის პროპაგანდისტულ საქმიანობაში ჩართვის მცდელობას უსვამს. მისი აზრით: „მუსიკას ძალუძს მასები, ინდივიდები დარაზმოს და წარმოშვას მოძრაობები. ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორ ეშინია ხელისუფლებებს ამ ეფექტის. ამავე დროს არსებობენ მთავრობები, რომლებიც ცდილობენ მუსიკის პროპაგანდის იარაღად ქცევას“(Street, 2012).

პროფესორი მანანა შამილიშვილი სამეცნიერო სტატიაში „პოპმუსიკის პოლიტიკა და პოლიტიკური მუსიკის ძირითადი გზავნილები“ რუსული პოპულარული მუსიკის ხელისუფლებასთან აქტიურ კავშირს შეისწავლის. ავტორი ცდილობს რეჟიმის პროპაგანდისტულ-იდეოლოგიურ რაკურსში გამოჰკვეთოს მუსიკოსების ჩართულობა. მკვლევარი ასევე ხაზს უსვამს რუსეთის ხელისუფლების ანტიდასავლური კურსის ლეგიტიმაციის პროცესში პოპმუსიკის მნიშვნელობას: „დასავლეთთან მეტოქეობის, ჯიბრში დგომისა და ნიშნის მომგები პოზიციის

დემონსტრირება თანამედროვე რუსული პოპკულტურის მთავარი მახასიათებელია. ამ მხრივ მუსიკალური სეგმენტის წვლილი განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ამასთან, სასიმღერო ტექსტების შინაარსობრივი დატვირთვა ყოველთვის თანხვდება კრემლის პოლიტიკურ დღის წესრიგს და ამ კონტექსტში იძენს დამატებით მნიშვნელობებს. ანტიდასავლური დისკურსი მეტად გაძლიერდა რუსეთის ფედერაციის 2018 წლის 18 მარტის საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ეს ნარატივი პოპმუსიკაშიც დომინირებდა. თუმცა, არც სხვა დროს იგრძნობოდა მისი ნაკლებობა"(შამილიშვილი., 2018).

ჟურნალისტი ლიზი მანო სტატიაში „დღეს მსოფლიოში მუსიკა პოლიტიკაა" თანამედროვე პოპარტსიტების შემოქმედებაში სოციალურ და პოლიტიკურ გზავნილებს იკვლევს. როგორც ავტორი აღნიშნავს, მომღერებს უკვე გაცნობიერებული აქვთ საზოგადიებაში თავიანთი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც მათ ლეგიტიმაციას აძლევთ სხვადასხვა თემაზე ღიად ისაუბრონ და თავიანთი აზრი გამოხატონ ამა თუ იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენაზე. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ის 2018 წელს გამოსულ ჩანაწერებში მსმენელებისთვის განკუთვნილ გზავნილებს გამოჰყოფს: „Janelle Monae, Idles, Superchunk და Christine and the Queens თავიანთ შემოქმედებაში სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებს ასახავენ. როგორც შავკანიანმა ამერიკელმა ქალმა, ჯანელ მონემ, ზუსტად იცის, რომ მას ჰყავს თავისი აუდიტორია, მისი ალბომით Dirty Computer ის ფემინიზმს, ქვიარ ადამიანების პრობლემებს ეხება და ცდილობს მსმენელზე თავისი კვალი დატოვოს"(Manno, 2018).

ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, მუსიკოლოგი სტენ ჰოკინსი წიგნში „პოპსა და მის ტექსტებში პოლიტიკური იდენტობის დადგენა" ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოებისა და არტისტის გამომსახველობით ფორმების თავისებურებებს პოლიტიკურ მოტივაციებს უკავშირებს. ავტორი შენიშნავს, რომ პოპმუსიკაში შექმნილი სიმღერა, ტექსტი პირდაპირ კავშირშია სქესთან, რასასთან და სხვა ფაქტორებთან, რაც ჯამში მსმენელებისთვის გამზადებულ ერთიან პოლიტიკურ შეტყობინებას ქმნის(Hawkins, 2002).

პოპმუსიკა და მასში მოღვაწე არტისტები საზოგადოებრივ - პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის დროს საზოგადოებაზე დადებით გავლენებსაც ახდენენ. მომღერლების ნამუშევრები ხშირად მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ შეტყობინებებს, მხარდაჭერას ამა თუ იმ უმცირესობათა ჯგუფის ან მოვლენის მიმართ შეიცავს, რაც ხშირად პოლიტიკური პროცესების დაწყების ბიძგიც კი ხდება. სეულისა და მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ჯენგმა და ლიმ კვლევაში „როდესაც პოპმუსიკა პოლიტიკურ საკითხებს ხვდება: როგორ მოქმედებს Born This Way გეეებისა და მათი უფლებების პოლიტიკაზე“, გეი უფლებებისთვის ბრძოლაში პოპულარული არტისტების როლზე გაამახვილეს ყურადღება. ამ შემთხვევაში მათ ამერიკელი სუპერვარსკვლავის ლედი გაგას სიმღერის „Born This Way” გავლენები იკვლიეს და დაადგინეს, რომ კომპოზიციამ სექსუალური უმცირესობების მიმართ პოზიტიური განწყობების შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა(Jang & Lee, 2014).

ხშირად პოპმუსიკის ესა თუ ის ჟანრი ჩანასახშივე მიზნად ისახავს სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე აქტიურ მსჯელობას, თუმცა, როდესაც ეს მიმართულება მეინსტრიმში ხვდება, მისი მიზნები და ამოცანებიც იცვლება. ამ პრობლემაზე წერს ჟურნალისტი ირაკლი მაღრაძე სტატიაში „The Art Of Rap“, რომელშიც თანამედროვე ჰიპ ჰოპის იდეური „ფერისცვალებაა“ განხილული. „დიდი ზომის შელახული შარვლები და ქურთუკები მოდის სახლებში ნაყიდმა პრესტიჟულმა ტანისამოსმა ჩაანაცვლა, კისერზე ჩამოკიდებული კედლის საათების მაგივრად, ახლანდელ რეპერებს ოქროს სამკაულები ამშვენებთ. შეიცვალა თემატიკაც: თუკი 80-იანების შუაში და 90-იანების დასაწყისში (ამ პერიოდს ჰიპ-ჰოპის ოქროს საუკუნეს, ე.წ. Golden Age-ს უწოდებენ) არტისტები რთულ დროზე, გეტოში ცხოვრებაზე, მატერიალურ სიდუხჭირეზე და კანონთან პრობლემებზე საუბრობდნენ, დღევანდელი რეპერების სიმღერის ტექსტები ხშირად კანფეტებზე, სუსტი ყოფაქცევის ქალებზე, სამკაულებზე და იმაზეა, თუ რომელს უფრო მეტი ფული აქვს“(მაღრაძე, 2013).

მკვლევრები ბოილი, ჰოსტერმანი და რემზი, წიგნში „პოპმუსიკის ფაქტორები, რომლებიც ახალგაზრდებზე გავლენას ახდენენ“ პოპულარული მუსიკის იმ კულტურულ პატერნებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც ახაგაზრდების ქცევით მოდელს სკოლის პერიოდიდან საუნივერსიტეტო ცხოვრების ჩათვლით განაპირობებენ. ავტორები ყურადღებას მუსიკალური ჟანრების, ახალგაზრდების სოციალური სტატუსისა და მათი ინტერესების ურთიერთმიმართებაზე ამახვილებენ და ასკვნიან, რომ ახალგაზრდებისთვის მუსიკა საზოგადოებაში თავის დამკვიდრების ერთ-ერთი ხერხია. მისი საშუალებით, იმ ქცევების დასწავლით, რომელიც მათ მუსიკიდან გადმოიღეს, ახალგაზრდები საზოგადოებისთვის, თანატოლებისა და სოციუმის სხვა წევრებისთვის პოლიტიკური ნარატივის შემცველი შეტყობინებების გაგზავნას ცდილობენ(Boyle, Hosterman & Ramsey, 1891)

ინგლისელი მკვლევარი ბრაიან ლონგჰარსტი ცნობილ წიგნში „პოპულარული მუსიკა და საზოგადოება“ პოპმუსიკის სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ანალიზს გვთავაზობს. ავტორი პოპულარული მუსიკის იდეების გავრცელების პროცესში მედიის როლს განსაკუთრებით უსვამს ხაზს. მისი აზრით, მედია ხშირად, უნებლიედ პოპულარულ მუსიკაში წარმოშობილ სტერეოტიპებს ღიად ავრცელებს, ეს კი თავად პოპ მუსიკის ფენომენის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს, რადგან მას შეფარვითაც ძალუძს იდეების გავრცელება(Longhurst, 2007).

მკვლევრები ლი და იო პოპულარლი მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობის კეიპოპის გავლენებს იკვლევენ ნაშრომში „კეიპოპი კორეაში: როგორ შეიცვალა პოპმუსიკა თანმედროვე საზოგადოებაში“. ავტორები თანამედროვე მსოფიოში მუსიკის მეშვეობით საზღვრების წაშლის ტენდენციას გამოყოფენ და კეიპოპის, როგორც დასავლური პოპმუსიკის შთაგონებით შექმნილი მიმდინარეობის ახალ თაობებზე გავლენებს იკვლევენ. მათი აზრით, დღეს პოპულარული მუსიკა ახალგაზრდებს მხოლოდ ერთ შეტყობინებას უგზავნის და ეს მათი შესაძლებლობების მაქსიმალიზაციისკენ მოწოდება, ანუ „აიდოლად“ ქცევის სურვილია. ამ ოცნების

ახდენის შემთხვევაში კი ადამიანს უკვე აქვს გარანტია თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნოს(Lee & Oh, 2014).

1.2. კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის მეთოდად შინაარსობრივი კვლევის მეთოდი, კონტენტ-ანალიზი გამოვიყენეთ, ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო იყო გამოცემებისა და მაუწყებლების შინაარსობრივ მხარეზე დაკვირვება. კონტენტ-ანალიზის დახმარებით შევისწავლეთ სტატიების, ახალი ამბებისა და გადაცემების რაოდენობრივი მონაცემები, რომელთა მეშვეობითაც დგინდება გამოცემებში პოპულარული მუსიკის გაშუქების სიხშირე და თვისებრიობა.

კვლევისას პოპმუსიკის ძირითადი ტენდენციები გამოვკვეთეთ, ცალკეულ მონაცემებს დავაკვირდით, საკვლევი საკითხი გავაანალიზეთ და თემების შინაარსობრივი მახასიათებლები შევისწავლეთ. ამ ამოცანების განხორციელებისთვის კლიპინგი, მარტივი კონტენტ-ანალიზი და შეტყობინებების ანალიზი გამოვიყენეთ.

- **თეორიული ჩარჩო - გამოყენების და კმაყოფილების თეორია, აუდიტორიისა და მედიის პოპკულტურაზე დამოკიდებულების თეორია.**

მასობრივი კომუნიკაციის კვლევებში „გამოყენების და კმაყოფილების თეორია“ განსაკუთრებით პოპულარულია, რადგან ის საშუალებას გვაძლევს მომხმარებლისა და მედიასაშუალებების სურვილების თანაკვეთა განვსაზღვროთ და ავხსნათ, თუ რატომაა ესა თუ ის მედიაპროდუქტი მოთხოვნადი.

როგორც მელვინ დეფლერი წერს, „გამოყენების და კმაყოფილების თეორიას“ საფუძველი დაუდო რადიოში გაშვებული საპნის ოპერების კვლევამ. თეორიის ჩამოყალიბების პროცესში დიდი წვლილი შეიტანეს პალმგრინმა, ვენერმა და როსენგრენმა, რომლებმაც თეორიის რვა პროპოზიცია შეიმუშავეს: „1)აუდიტორია აქტიურია. 2) მედიის მოხმარება შეგვიძლია მიზანმიმართულად ჩავთვალოთ. 3) ამ

მოთხოვნილებების კონკურენციად სხვა წყაროებიც გვევლინება. როდესაც 4) აუდიტორია თავის მოთხოვნილებას უკავშირებს მედიას, 5) მედიაარხს შეუძლია მოთხოვნები დააკმაყოფილოს. მიუხედავად ამისა, 6)მედიის შინაარსი არ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთადერთი საშუალება კმაყოფილების მიღწევისას, რადგან 7) მედიის ხასიათი და სტრუქტურა ზღუდავს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პატერნს. 8) მედიამ შეიძლება მოთხოვნილება დააკმაყოფილოს თავისი შინაარსით ან იმ სოციალური მდგომარეობით, რომელშიც ხალხისთვის ინფორმაციის გადაცემა ხდება"(DeFleur, 2010).

„აუდიტორიისა და მედიის პოპკულტურაზე დამოკიდებულების თეორიამ" განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე ეპოქაში, როდესაც მედია პოპკუტურის გავრცელების უმთავრესი წყარო გახდა და მის დღის წესრიგში სწორედ პოპკულტურაში აკუმულირებული თემების დომინირება დაიწყო. ამ თეორიის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია პოპკულტურის ნებისმიერი ფორმის, მედიისა და აუდიტორიის ურთიერთდამოკიდებულება ავხსნათ. განვსაზღვროთ, თუ კონკრეტულად, პოპკულტურის რომელი ფორმა ახერხებს მედიის ინტერესის სფეროში მოხვედრას და ამას რა სოციალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს თეორია კვლავაც განაგრძობს განვითარებასა და ახალი საკვლევი ტერიტორიების მოძიებას(Ha, Zhang & Yoon, 2013).

„აუდიტორიისა და მედიის პოპკულტურაზე დამოკიდებულების თეორიის თანახმად", კერძო საკუთრებაში მყოფი მედია ფუნქციონირებს კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემაში და მიმართულია მოგების მაქსიმალიზაციაზე. ეს უბიძგებს მათ, რომ მოიზიდონ აუდიტორიის დიდი რაოდენობა და ამისათვის გამოიყენონ ნებისმიერი ხარისხის პროდუქცია. აუდიტორია ეყრდნობა მედიას, რომ მათ მისცეს გართობის საშუალებები თავისუფალი დროის განმავლობაში. მოგების გასაზრდელად მედია ავრცელებს კიჩს - პოპკულტურის პროდუქტს, რომელსაც არც თუ ისე კარგი ხარისხი აქვს. შედეგად ეკონომიკური პროცესები და მომხმარებელთა გემოვნება

აიძულებს მედიას, რომ დაეყრდნოს პოპკულტურას. ამის შედეგი შეიძლება დადებითი ან უარყოფითი იყოს“(DeFleur, 2010).

1.3 კვლევის დიზაინი

კვლევის მიზანია, გამოვკვეთოთ ქართულ მედიაში პოპმუსიკით გავრცელებული ღირებულებები, თემები და პრობლემური საკითხები. დავაკვირდეთ მედიაარხებს და განვსაზღვროთ, რა კონტექსტით ექცევა პოპულარული მუსიკა მედიასაშუალებების დღის წესრიგში. კვალიფიციურად შუქდება თუ არა ქართულ მედიაში თანამედროვე პოპმუსიკის ტენდენციები და პოპულარული მუსიკის გაშუქებისას, ვრცელდება თუ არა საზოგადოებაში გარკვეული სტერეოტიპები.

პოპულარული მუსიკა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ადამიანების ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს, ამიტომ, მასზე დაკვირვება მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ის პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების წამოწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა, ამ პროცესში კი საზოგადოებისთვის პოპულარულ მუსიკაში ფორმირებულ იდეოლოგიურ შეტყობინებებს პოპულარიზაციას სწორედ მედია უწევს. ამიტომ პოპმუსიკისა და მედიის ურთიერთკავშირის კვლევა საინტერესო და ამავე დროს, აუცილებელიცა. ამ ფენომენის შესწავლა საქართველოში პირველად განხორციელდა და ჩვენი ერთ-ერთი მიზანი წარმოდგენილი ნაშრომით, პოპმუსიკისა და მედიის ურთიერთანამშრომლობის კვლევის წახალისებაა.

❖ საკვლევი კითხვები

Q1. კვალიფიციურად შუქდება თუ არა ქართულ მედიაში თანამედროვე პოპმუსიკის ტენდენციები?

Q2. დასავლურ პოპმუსიკაში წამოჭრილი რომელი საკითხებია ქართული მედიისათვის ნიშანდობლივი?

Q3. გამართულია თუ არა პოპულარული მუსიკის გაშუქებისას პროფესიული ენა?

Q4. ქმნის თუ არა მედია პოპულარული მუსიკის გაშუქებისას სტერეოტიპებს?

❖ კვლევის ჰიპოთეზა

H1. ქართული მედია კვალიფიციურად არ აშუქებს მსოფლიო პოპმუსიკის ძირითად ტენდენციებს;

H2. ქართული მედია პოპმუსიკის გაშუქებისას ძირითადად სოციალური საკითხებით ინტერესდება;

H3. პოპმუსიკის გაშუქებისას აისახება საქართველოში მიმდინარე საპროტესტო მოძრაობების სულისკვეთება;

❖ შერჩევა

კონტენტ-ანალიზისთვის მედიასაშუალებები რეიტინგის და პოპმუსიკისადმი ინტერესის პრინციპით შევარჩიეთ. ონლაინ მედიიდან On.ge-ს, Popmusic.ge-ს, At.ge-ს, სამაუწყებლო მედიიდან კი - „რუსთავი 2“-ს, „იმედსა“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, გადაცემებს „ნანუკას შოუ“, „პრაიმშოუ“, „აკუსტიკა“, „საქართველოს ვარსკვლავი“ და „მხოლოდ ქართული“ დავაკვირდით.

საქართველოში ონლაინმედიის ერთადერთი რეიტინგის მთვლელის, Top.ge-ს 2019 წლის მონაცემებით, On.ge-ს თვეში საშუალოდ მილიონზე მეტი მკითხველი სტუმრობს. Popmusic.ge ერთადერთი ქართული მუსიკალური გამოცემაა, At.ge კი, ხარისხიანი კონტენტითა და თავისი სანდოობით გამოირჩევა.

რაც შეეხება სამაუწყებლო მედიას, „რუსთავი 2“, „იმედი“ დღესდღეობით საქართველოში ყველაზე პოპულარულ ტელევიზიებად ითვლებიან. „საზოგადოებრივ მაუწყებელი“ კი ქვეყანაში ერთადერთი ტელეარხია, რომელსაც „კანონის მაუწყებლის შესახებ“ ავალდებულებს მოამზადოს საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის მისაღები გასართობ-შემეცნებითი გადაცემები. ამიტომ, საინტერესოა, როგორ ასრულებს იგი კანონით გაწერილ ამ ვალდებულებას და რა ტიპის პოპულარული მუსიკის პოპულარიზაციას ეწევა.

კვლევის ფარგლებში ჩვენ 2017 წლის იანვრიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით პერიოდს დავაკვირდით. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეს თარიღები სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიური აღმოჩნდა. ჩავატარეთ საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები. საზოგადოებამ ქართული ელექტრონული მუსიკისთვის მნიშვნელოვან დაწესებულებებში, „ბასიანსა“ და კაფე „გალერეაში“ სპეცრაზმის შესვლა იხილა, მუსიკოსების პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრების ფაქტებს შეესწრო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიაში პირველად, რუსთაველის გამზირზე რეივით გამოხატულ პროტესტს მიადევნა თვალი. 2018 წელს ქართულ მედიასივრცეს უშუალოდ მუსიკაზე ორიენტირებული გამოცემა Popmusic.ge შეემატა და ნაციონალურ მედიაბაზარზე პოპულარული მუსიკის გაშუქებისთვის სრულიად ახალი პლატფორმა შეიქმნა.

2017 წლიდან Me Too მოძრაობამ მსოფლიო შოუ-ბიზნესში ძირეული ცვლილებები გამოიწვია, არტისტებმა პოპულარულ მუსიკაში სექსუალური შევიწროვების ფაქტებზე ღიად დაიწყეს საუბარი. დონალდ ტრამპის არჩევამ კი პოპმუსიკაში სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური თემების გააქტიურება გამოიწვია. ამ მოვლენებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საინტერესოა დავაკვირდეთ ქართულ მედიაში პოპმუსიკის ღირებულებების რეცეფციას და განვსაზღვროთ ამ პერიოდში

ქართულ მედიაში პოპულარული მუსიკის რა ტენდენციებმა და საკითხებმა იჩინეს თავი.

თავი 2. კვლევის შედეგები

საკვლევი პერიოდის განმავლობაში ჩვენ სამი ონლაინგამოცემა Popmusic.ge, On.ge, At.ge-ს შევისწავლეთ. საერთო ჯამში, პოპულარული მუსიკის შესახებ ონლაინ მედიასაშუალებებში 4,304 მასალა განთავსდა. აქედან 163 ანალიტიკური სტატია იყო. ჩვენს მიერ შესწავლილი მასალების 80,4%-ი Popmusic.ge-მ გამოაქვეყნა. On.ge-მ 14,1%, At.ge კი, 5,5%.

Popmusic.ge ქართულ მედიაბაზარზე ერთადერთი ონლაინგამოცემაა, რომელიც უშუალოდ მუსიკაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ის მკითხველს სიახლეებთან ერთად, ანალიტიკურ მასალებსა და მულტიმედიურ კონტენტსაც სთავაზობს. ონლაინგამოცემის მიერ მომზადებული სიუჟეტები მეტწილად, საქართველოში გამართულ კონცერტებს წარმოაჩენს, მასში ნაკლებია ანალიტიკა და ძირითადად ღონისძიებების მცირე მიმოხილვით შემოიფარგლება.

On.ge პოპმუსიკის შესახებ ახალ ამბებსა და სტატიებს „კულტურის“ რუბრიკაში ათავსებს. საკვლევი პერიოდის განმავლობაში, გამოცემაში გამოქვეყნებული მასალების მხოლოდ 3,2% იყო ანალიტიკური. ეს კი ადასტურებს იმას, რომ პოპმუსიკის ფენომენის სიღრმისეული ანალიზი საიტისთვის ნაკლებად პრიორიტეტულია.

At.ge მკითხველებს თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ მომზადებულ ჟურნალისტურ მასალებს სთავაზობს. აქ ნათარგმნ სტატიებთან ერთად, ორიგინალური კონტენტიც გვხვდება. მედიასაშუალების სპეციფიკიდან გამომდინარე, მის მომხმარებელებს მუსიკაზე სიახლეებისა და ანალიტიკური

მასალების წაკითხვა შეუძლიათ, თუმცა, პოპულარული მუსიკის გაშუქების მაჩვენებელი კინოსთან, ვიზუალურ ხელოვნებასთან მიმართებით ძალიან მწირია.

- **კოდირების ერთეულები**

მედიატექსტებში დაკვირვების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი თემატური კატეგორიებია:

1) მედიაგზავნილები;

- საბჭოთა წარსული და 90-იანი წლები;
- რუსული ოკუპაცია;
- სოციალური და პოლიტიკური საკითხები;
- ნარკოპოლიტიკა;
- გენდერული თემები;
- მუსიკალური გემოვნება

2) ტენდენცია

3) სტერეოტიპიზაცია

4) ენა.

- **რაოდენობრივი ანალიზი**

დიაგრამა № 2.1



დიაგრამა № 2.2



დიაგრამა № 2.3



კვლევის ფარგლებში დავაკვირდით სამ ნაციონალურ ტელევიზიას, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, „რუსთავი 2“-სა და „იმედს“. „რუსთავი 2“-ი თავის სამაუწყებლო ბადეში მუსიკალურ შოუებს ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს. „რუსთავი 2“-ზე 2017 წელს ეთერში გადიოდა მეგაშოუ „X ფაქტორი“, რომელმაც 2018 წელს „იმედზე“ გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ „რუსთავი 2“-მა მაყურებლებს ასევე შესთავაზა პროექტი „მხოლოდ ქართული“, რომელიც მიზნად ისახავს ქართული მუსიკის პოპულარიზაციას.

რაც შეეხება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, მან მაყურებლებს მუსიკალურ შოუებთან - „საქართველოს ვარსკვლავი“, „რანინა“, „ევროვიზია“, „საბავშვო ევროვიზია“ - ერთად შესთავაზა ორგინალური გადაცემა „აკუსტიკაც“, რომელმაც ქართველ მეინსტრიმ და ანდეგრაუნდ არტისტებს, ჟანრობრივი განსხვავებების მიუხედავად, ეთერი დაუთმო და მათ თავიანთი შემოქმედების ფართო მასებისთვის გაცნობის საშუალება მისცა.

2.1 მედიაგზავნილების ანალიზი

ქართული მედიაარხების დღის წესრიგში პოპულარული მუსიკა ყველაზე ხშირად იმ შეთხვევაში ექცევა, თუ რომელიმე ვარსკლავის შესახებ რაიმე ,,ყვითელი“ სიახლე, სკანდალი ან ორიგინალური ისტორია ვრცელდება. მაგალითად Cardi B-ს და ნიკი მინაჟის დაპირისპირება, რიანასა და მისი არაბი შეყვარებულის ურთიერთობის დეტლები. - მსგავსი თემები არამარტო დასავლურ მედიას, არამედ ქართულ გამოცემებსაც ძალიან აინტერესებთ. ონლაინგამოცემებში დაბეჭდილი მასალების უმრავლესობისთვის თანამედროვე მუსიკის განვითარების ტენდენციები, ნოვაციები, მასში არსებული პრობლემები უინტერესოა, ამიტომ ანალიტიკური მასალების სიმცირე ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემაა:

ქართული მედია თანამედროვე მუსიკის განვითარების ტენდენციებს გვერდს უვლის. იგი არ ინტერესდება ამა თუ იმ ჟანრში ახალ იდეებზე მასალების გამოქვეყნებით. ეს შეიმჩნევა უშუალოდ მუსიკაზე ორიენტირებულ გამოცემაში Popmusic.ge-შიც, რომელშიც მუსიკალურ ნოვაციები მხოლოდ ალბომებზე დაწერილ რეცენზიებშია გაბნეული, რაც თანამედროვე პოპმუსიკის ერთიან სივრცეში განხილვის შესაძლებლობას და მასში არსებული ტენდენციების გამოკვეთას ართულებს.

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი მედიასაშუალებები სისტემატიურად მხოლოდ იმ არტისტების შესახებ აქვეყნებენ ახალ ამბებს, რომლებიც საზოგადოების დიდ ნაწილში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ. ამ ტენდენციის შედეგად მედიაარხების ინტერესის სფერო მხოლოდ რამდენიმე მუსიკოსამდე, ბენდამდე, მუსიკალურ პროექტამდე და ჟანრამდე დაიყვანება, რაც თანამედროვე პოპმუსიკის მრავალფეროვნებას, მასში არსებულ ღირებულებით პლურალიზმს სრულფასოვნად არ წარმოაჩენს. მაგალითად, On.ge-ს რჩეულ პოპვარკვლავებს შორისაა: ბიონსე, ტეილორ სვიფტი, ჯეი ზი, რიანა და ლედი გაგა, რომელთა შესახებაც, საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ჯამში 95 მასალა მომზადდა. ეს კი გამოცემაში კვლევის პერიოდში შესაწავლილი მასალები 15,6%-ია.

ზემოაღნიშნული ტენდენცია შეინიშნება Popmusic.ge-შიც, რომლის ფავორიტ მუსიკოსებს შორის, რიანა, ბიონსე, BTS, ბრიტნი სპირსი, ჯეი ზი და ჯენიფერ ლოპესი არიან. მათ შესახებ დაწერილი სტატიები და ახალი ამბები ჯამში ონლაინგამოცემის მიერ გამოქვეყნებული მასალების 25%-ს შეადგენს. ამის მიუხედავად, „პოპმუზიკ.ჯი“, თავისი სპეციფიკდან გამომდინარე, აქცენტს ნაკლებ პოპულარულ და სრულიად უცნობ მუსიკოსებსაც უთმობს. ეს კი მკითხველს საშუალებას აძლევს მუსიკის შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაცია მიიღოს.

თანამედროვე პოპმუსიკის მასშტაბები ძალიან დიდია. მასში აკუმულირებული თემების სრულფასოვნად წარმოჩენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ამიტომ მედიასაშულებები იძულებულები არიან მიღებული ინფორმაცია პრიორიტეტების მიხედვით დაყონ. კვლევის ფარგლებში პოპმუსიკის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თემა, რომლებზეც გამოცემები და ტელევიზიები ყოველთვის რეაგირებენ, შესაბამისად, ამ საკითხებზე არტისტების მხრიდან ყურადღების გამახვილება ქართულ მედიაში მათი მოხვედრის გარანტია. დასავლურ შოუ-ბიზნესში ამ ეტაპზე განსაკუთრებით მომგებიანია სოციალურ საკითხებზე აქცენტის გაკეთება, არტისტები დიდი ყურადღებას მსმენელში ეკონომიკური და სოციალური თანასწორობის პორპაგანდას უთმობენ.

ბოლო წლებში პოპმუსიკაში ჰომოფობიური განწყობები, საგრძნობლად შემცირდა, არტისტებმა გააცნობიერეს, რომ სექსუალური უმცირესობების მიმართ გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება მათ შემოსავლებზე, ალბომებისა და სინგლების გაყიდვის მაჩვენებელზე უარყოფითად მოქმედებს, ამიტომ, ერთი შეხედვით ყველაზე მასკულინურ ჟანრში, ჰიპ ჰოპშიც კი „ლგბტ“ თემის უფლებების წინ წამოწევა დღეს ყველაზე გამოკვეთილი ტენდენციაა. გარდა ამისა, ტრამპის გაპრეზიდენტებამ და მექსიკისა და აშშ-ს საზღვარზე კედლის აშენების იდეამ პოპულარულ მუსიკაში გააქტიურა ისეთი გლობალისტური თემები, როგორებიცაა: ერთიანი მსოფლიო, მიგრანტებისადმი მეტი მიმღებლობა, ნაციონალისტური იდეებისადმი ცრურწმენა და

სხვა. ამ მრავალფეროვანმა თემებმა პოპმუსიკის გაშუქების დროს ქართულ მედიაშიც იჩინა თავი. თუმცა, განსხვავებით დასავლეთისგან, ქართულ სამაუწყებლო მედიაში შეინიშნებოდა ნაციონალისტური, ფსევდოპატრიოტული იდეების სიჭარბე, რაც თანამედროვე პოპულარული მუსიკის ღირებულებებით სისტემას უპირისპირდება.

ნაშრომში ჩვენ გამოვყავით ის საკითხები, რომლებიც ონლაინ და სამაუწყებლო მედიაში განთავსებულ მასალებში ყველაზე ხშირად გვხვდებოდა და შესაბამისად, მასზე მსჯელობაც მედიარხებში აქტიურად მიმდინარეობდა. თემების უმრავლესობა დასავლური პოპმუსიკისთვის ყველაზე რელევანტური აღმოჩნდა და ამ საკითხებმა ჩვენი მედიასაშუალებების ყურადღებაც მიიქცია. თუმცა, კვლევის განმავლობაში ქართულ მედიაში თავი შიდაპოლიტიკურმა და სოციალურმა თემატიკამაც იჩინა. გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული საზოგადოებისთვისაა მნიშვნელოვანია. აღმოჩნდა, რომ ონლაინმედია ერთი-ერთში იზიარებს დასავლურ პოპმუსიკაში ფომირებულ ღირებულებებს. სამაუწყებლო მედია კი თანამედროვე პოპულარული მუსიკის იდეოლოგიურ რაკურსთან წინააღმდეგობაშია. ამ განსხვავებების აღმოჩენამ საშუალება მოგვცა პოპმუსიკის ღირებულებითი სისტემის ქართულ მედიაში რეცეფციის მახასიათებლებს დავკვირვებოდით და მისი გამომწვევი მიზეზები თეორიული ჩარჩოების დახმარებით გვეკვლია.

❖ საბჭოთა წარსულსა და 90-იან წლებზე დაკვირვება

წარსულ გამოცდილებაზე საუბარი ქართული მედიისთვის უცხო არ არის. ამ პროცესში მუსიკა განვლილ მოვლენებზე დაკვირვების ეფექტური საშუალებაა. საქართველოში მომხდარ კულტურულ მოვლენებზე აქცენტს კვლევაში შემავალ გამოცემებს შორის ყველაზე ხშირად Popmusic.ge აკეთებს.

გამოცემა ჩვენი ქვეყნის საბჭოთა გამოცდილების შესახებ ხშირად წერს, რაც საშუალებას გვაძლევს მე-20 საუკუნის პოპმუსიკაში მიმდინარე მოვლენები

განსხვავებული ხედვით დავინახოთ. სტატიაში(https://bit.ly/2LcsiYn) „10 იტალიური კომპოზიცია 80-იანი წლების საქართველოდან“ ავტორი საბჭოთა ცენზურის მიერ იტალიური პოპკულტურისთვის მწვანე შუქის ანთების მიზეზებს იკვლევს და ცდილობს გაანალიზოს ის კულტურული შეტყობინებები, რომლებიც მუსიკის საშუალებით მაშინდელ საქართველოში ვრცელებოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტმა დიდი ყურადღება მხოლოდ იტალიურ მუსიკაში სექსისა და სიშიშვლის პოპულარიზაციას დაუთმო. საბრინას ჰიტის Boys განხილვისას მან ხაზი საბჭოთა სივრცეში სიშიშვლის მარგინალიზაციას გაუსვა. „საბრინა სალერნოს ეს სიმღერა 1987 წელს გამოვიდა და მის ყველაზე წარმატებულ ჩანაწერადაც იქცა. კომპოზიციის მუსიკალურ მხარეზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, აი, კლიპი კი, რომელშიც იტალიელი ლამაზმანი აუზში თავმომწონედ ცეკვავს, საბჭოთა აუდიტორიისთვის ნამდვილად რევოლუციური მოვლენა იყო და იმდროინდელი სტანდარტებით თავისუფლად შეიძლებოდა ვინმეს ჰარდკორ პორნოდაც მიეჩნია“(გოგუაძე, 2019).

იტალიელი მომღერლის რაფაელა კარას ნამუშევარიც ჟურნალისტმა საბჭოთა კავშირისა და სექსის ურთიერთმიმართების კონტექსტში განიხილა: „70-იან წლების ბოლოს გაჰიტებული სიმღერის ტექსტში რაფაელა კარა ყველა მსმენელს მოუწოდებდა, საწოლში თავდავიწყებას მისცემოდნენ და ამ გზით დედამიწაზე მშვიდობა დაემყარებინათ. ომის საწინააღმდეგო რიტორიკა ერთობ პოპულარული იყო კბილებამდე შეიარაღებულ საბჭოთა კავშირში, თუმცა, ეს კომპოზიცია ცენზურას რთულად თუ გადაურჩებოდა, რომ გაეგოთ, რაფაელა მოკითხვას იმ ხალხს უთვლის, ვისაც ბევრი საყვარელი ჰყავს და დანარჩენებსაც ურჩევს, სექსისგან თავს არასდროს შეიკავონო“ (გოგუაძე, 2019) - წერს სტატიის ავტორი.

Popmusic.ge მკითხველებს 90-იანი წლების მუსიკალურ მოვლენებზე მასალებს ხშირად აწვდის, ეს გამოცემისთვის ერთგვარი საშუალებაა, დღეს მიმდინარე

მოვლენები მუსიკის ჭრილში განიხილოს და მათი გამომწვევი მიზეზები სწორედ წარსულზე რეცეფციის საშუალებით ეძებოს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ალტერნატიულმა კულტურულმა მოძრაობებმა, რომლებიც დღეს პოპულარული მუსიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, განსაკუთრებით დიდი დოზებით მუსიკაში იჩინა თავი. ამ პროცესების განხილვა და მასზე ობიექტური დასკვნების გამოტანა კი კვლევაში შემავალ გამოცემებს შორის საინტერესო მხოლოდ Popmusic.ge-სთვის აღმოჩნდა. სტატიაში(https://bit.ly/2XxdpS9) „90-იანი წლების 20 ქართული ალტერნატიული კომპოზიცია“ რედაქცია აქცენტს მაშინდელი საზოგადოების მიერ ქართველი არტისტების წამოწყებული ახალი კულტურული მოძრაობების მიუღებლობაზე აკთებს: „იმ დროისათვის უკვე დაშლის პირას მყოფი საბჭოთა კავშირი 1991 წელს საბოლოოდ ჩამოინგრა, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვებამ დრომოჭმულ ღირებულებებს ბევრი ვერაფერი დააკლო. ნაცრისფერი მასისგან გამორჩეული მუსიკოსები და მათი შემოქმედება საზოგადოებისთვის კვლავინდებურად მიუღებელი იყო. შედეგად, არტისტების ნაწილი ბედის საძიებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა, სამშობლოში დარჩენილებს კი წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, იატაკქვეშეთში უწევდათ მოღვაწეობა. თუმცა, მათ მაინც მოახერხეს ქართულ მუსიკაში იმ მუხტის შემოტანა, რომლის გამოძახილიც დღემდე იგრძნობა“(ლაცუზბაია, 2019).

სტატიაში ჟურნალისტი მაშინდელი მეინსტრიმ მუსიკის არასოციალურ სულისკვეთებაზეც მიგვანიშნებს და ალტერნატიული მუსიკის კონტრკულტურულ ხასიათსაც გამოჰკვეთს: „რობი კუხიანიძის მიერ 1989 წელს ქუთაისში ჩამოყალიბებული "აუტსაიდერი" ჩვენს ქვეყანაში პანკის პიონერად იქცა. თავის დროზე ჯგუფის მძიმე, მოუხეშავ მუსიკას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თუმცა, ჟღერადობას ვინ ჩივის, წარმოიდგინეთ, რა რეაქციას გამოიწვევდა მთვარისათვის მოგალობე ჩიტუნიებსა და შორით ტრფიალზე დაწერილ სიმღერებს მიჩვეულ ქართველ მსმენელში ამ კომპოზიციის ტექსტის მოსმენა“(ლაცუზბაია, 2019).

რობი კუხიანიძის ბენდს დრო მასალაში(https://bit.ly/2LGvxqm), „15 ქართული პანკ როკ კომპოზიცია“, დაეთმო. სტატიის ავტორმა პანკ მუსიკის, როგორც 90-იანი წლებში მთავარი საპროტესტო ჟანრის მნიშვნელობაზე ისაუბრა: "აუტსაიდერის" დანიშნულების საუკეთესო განმარტებასაც აქ, რობი კუხიანიძის სიტყვებში იპოვით - თუ ვინმემ იმ პერიოდის საქართველოში არსებული სიცარიელის შევსება შეძლო, პირველ რიგში, სწორედ ასეთმა მუსიკოსებმა“(ლაცუზბაია, 2019).

განსხვავებით Popmusic.ge-სგან ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „პრაიმშოუ“ 90-იანი წლების რომანტიზება გამოიკვეთა. 2017 წლის 29 ივლისის გადაცემაში ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულზე ისაუბრეს და 90-იან წლებში მუსიკის ფენომენის სოციალური ფუნქციის წარმოჩენას შეეცადნენ. თუმცა, ამის მაგივრად, მაყურებელმა მხოლოდ წარსულიდან შემორჩენილი სენტიმენტური გრძნობების ღიად გამოხატვის სცენები ნახეს. გადაცემაში დაიკარგა პოპულარული მუსიკის კულტურული მნიშვნელობა, რამაც შესაძლოა 90-იანი წლების მენტალობაც კი შეეცვალა, არადა, როდესაც სტუმრებმა ხაზი გაუსვეს მეოცე საუკუნის დასასრულს ქართული შოუ-ბიზნესის გააქტიურებას, კარგი იქნებოდა ამ მოვლენების სოციალურ და პოლიტიკურ მიზეზებზეც ესაუბრათ და მხოლოდ ზედაპირული შეფასებით არ შემოფარგლულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ეს დამსახურებაა თავად გადაცემის წამყვანების ზერელე კითხვებისა, რომლითაც არა პრობლების სიღრმისეული ანალიზი, არამედ მხოლოდ წარსულის მოგონებების შედეგად გამოწვეული აღტკინება გამოჩნდა.

90-იანი წლების გარდა გადაცემაში საბჭოთა წარსული რომანტიზების შემთხვევამაც იჩინა თავი. 2018 წლის 25 ივლისს გასული გადაცემა ანსამბლი „მზიურის“ ძველ თაობას მიეძღვნა. შოუში კოლექტივის შესახებ 1973 წელს გადაღებული ცნობილი ფილმის სცენები გააცოცხლეს. ნინი ბადურაშვილმა და მაია ჯაბუას შვილმა, ლიზა ყენიამ პიონერების წითლი ყელსახვევები მოირგეს და სხვადასხვა რუსული სიმღერა შეასრულეს. მსგავსი ვიზუალური გამომსახველობითი ფორმა მაყურებელში არათუ

მძიმე საბჭოთა წარსულზე, კულტურისა და მუსიკის ცენზურაზე დაფიქრების საშუალებას იძლევა, არამედ პირიქით, ადამიანებში თანაგრძნობისა და წარსულის მონატრებას აღვივებს, რაც წინააღმეგობაშია წინა გადაცემებში წამყვანების მხრიდან რუსლი ოკუპაციის კრიტიკასთან.

- **ძირითადი ტენდენციები:**

- სამაუწყებლო მედია საბჭოთა წარსულისა და 90-იანი წლების რომანტიზებას ახდენს;
- მუსიკა ონლაინ მედიისთვის მე-20 საუკუნის დასასრულს განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვების ეფექტური საშუალებაა;
- ონლაინ მედიაში 90-იანი წლები ალტერნატიულ მუსიკაში მიმდინარე სოციალური მოძრაობების გამოა მნიშვნელოვანი;
- Popmusic.ge 90-იან წლებზე მსჯელობისას აქცენტს მხოლოდ ალტერნატიულ მუსიკაზე აკეთებს, იმ ეპოქაში პოპმუსიკაში მიმდინარე მოვლენები ზერელედაა განხილული, გამოტანილი დასკნები ხშირად არაარგუმენტირებულია;
- ტელეკომპანია „იმედი“ საბჭოთა წარსულს პოზიტიურ ჭრილში აშუქებს;
- Popmusic.ge საბჭოთა წარსულზე დაკვირვებისას დასავლური პოპმუსიკის კულტურულ ფუნქციად მხოლოდ სექსისა და სიშიშვლის პროპაგანდას გამოჰყოფს.

❖ რუსული ოკუპაცია

რუსულ ოკუპაციას ქართული მედიასაშუალებები ყოველთვის მწვავედ განიხილავენ. ჩრდილოელი მეზობლის მიერ საქართველოზე განხორციელებული არაერთგზის შეტევა, 2008 წლის ომი, საზღვრების მუდმივი გადმოწევის პრაქტიკა მუსიკალურ პუბლიკაციებშიც აქტიურად აისახება.

2018 წლის 28 აგვისტოს On.ge-მ გამოქვეყნა ანალიტიკური სტატია(https://bit.ly/2NAwWBb) „როჯერ უოტერსის ღია მხარდაჭერა პუტინს, რუსეთის პოლიტიკასა და ყირიმის ანექსიას“, რომელშიც ჟურნალისტი თამუნა გეგიძე წერს: „შემსრულებელი სოლიდარობას უცხადებდა სხვადასხვა საპროტესტო აქციას და ამბობდა, რომ რეპრესიული და სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებს ყოველთვის დაუდგებოდა გვერდით. ის აქტიურად იცავდა პალესტინა-ისრაელის დაპირისპირებაში პალესტინის ინტერესებს, რის გამო ანტისემიტიზმშიც კი დაადანაშაულეს. ასევე, გამოდიოდა ტრამპის ინიციატივის წინააღმდეგ, მექსიკის საზღვართან კედლის მშენებლობის შესახებ. თუმცა, როგორც ჩანს, მუსიკოსი მხოლოდ კონკრეტული ძალადობრივი სისტემების წინააღმდეგ იბრძვის, რადგან ის ღია მხარდაჭერას უცხადებს ვლადიმერ პუტინს და რუსეთის პოლიტიკას ანექსირებული რეგიონის, ყირიმის წინააღმდეგ“(როჯერ უოტერსის ღია მხარდაჭერა პუტინს, რუსეთის პოლიტიკასა და ყირიმის ანექსიას, 2018). - იმის მიუხედავად, რომ Pink Floyd ყველასათვის საყვარელი ჯგუფია და მას საქართველოში მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელთა არმია ჰყავს, რუსეთისადმი პოზიტიურად განწყობილი განცხადებების შემდეგ, მედიამ ბენდის ყოფილი წევრის ობიექტური კრიტიკა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტმა გეგიძემ მკითხველებს ფაქტები და მყარი არგუმენტები შესთავაზა რამაც მასალაში რუსოფობიური ელემენტების გამორიცხა.

On.ge-მ საკვლევი პერიოდის განმავლობაში მკითხველებს ხშირად მიაწოდა მასალები, რომლებშიც რუსეთის ფედერაცია, იქ მიმდინარე მოვლენები უარყოფით კონტექსტშია განხილული. მაგალითად, გამოცემამ 2017 წელს დაბეჭდა მასალა „რუსული სიმღერა ახალგაზრდებს მოუწოდებს, არ გააპროტესტონ რუსეთში არსებული სიტუაცია“ - ასევე საიტმა დიმა ბილანის ინიციატივაც გააშუქა. მომღერალი ქვეყანაში მუსიკის გაკონტროლებას ითხოვდა. გამოცემას ყურადღების გარეშე არც პუტინის განცხადება გამორჩენია. პრეზიდენტის აზრით, თუ რეპს ვერ აკრძალავდნენ, მაშინ ის სახელმწიფოს უნდა გაეკონტროლებინა. ამ პუბლიკაციების მთავარი მიზანია რუსი

მომღერლების რეჟიმისადმი ლოიალური დამოკიდებულების ჩვენება და ქვეყანაში არსებული არაჯანსაღი და ცენზურაზე დამყარებული სახელოვნებო სფეროს კრიტიკა.

ონლაინპლატფორმა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ქართველი არტისტების პრორუსულ განცხადებებსა და მათ შეხედულებებსაც აქცევს. მაგალითად, გამოცემამ 2018 წელს ნანი ბრეგვაძის მოსაზრება მკითხველებს უცვლელი სახით, ყოველგვარი შესავალისა და დაკვნის გარეშე შესთავაზა: "ძალიან მინდა, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა გაიცნონ და შეიყვარონ რუსეთი ისე, როგორც ყოველთვის გვიყვარდა. ჩვენ ერთად მოვდიოდით, ერთად ვიზრდებოდით. ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს ყველაფერი სხვანაირადაა. მინდა, რომ თქვენც შეიყვაროთ საქართველო. ყველას გიწვევთ, რომ ჩემი სიმღერა მოისმინოთ. კულტურა გვაახლოებს, მე ეს ვიცი და ამიტომაც ვმღერი"(On.ge, 2018). გამოცემამ დეტალურად გააშუქა რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერლის ქეთა თოფურიას განცხადებებიც, რომელმაც არჩევნებში მრადაჭერა ვლადიმირ პუტინს ღიად გამოუცხადა.

ანტირუსული განწყობები შეიმჩნევა გამოცემა At.ge-ში. 2018 წლის 8 სექტემბერს გამოქვეყნდა სტატია(https://bit.ly/2LEeHID) სახელწოდებით „ატონალი" გზად და ხიდად: ქართველი მუსიკოსები Berlin Atonal-ზე", რომელშიც მუსიკალურ ფესტივალ „ატონალზე" მყოფი რუსი მსმენელების ქცევა ჟურნალისტმა ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილმა ასე დაახასიათა: „იტალიელები ჩვენზე მეტს ლაპარაკობენ, რუსები კი ორივეზე მეტს, ხშირად შოუს მიმდინარეობისასაც, განხილვის თემაა, ვინ რა ჭამა და ვისი პორცია უფრო მეტი იყო. მოგეხსენებათ, რომ რუსეთში კარგი საჭმელი ნორმალურ ფასად მაგრად ჭირს"(ბაგრატიონ-დავითაშვილი, 2018). სტატიის ავტორმა რუსები შეურაცხმყოფელი ეპითეტითაც მოიხსენია: „წლევანდელი ატონალის პროგრამაც მგონია, რომ როგორც ყოველთვის, ნებით თუ უნებლიეთ კარგად ირეკლავს გერმანიისა და მთელი დასავლეთის დღევანდელ გაყინულ, არაფრისმთქმელ, არაფრისმომცემ, აბულიით (აბულია – სურვილის გრძნობის ატროფია) შეპყრობილ პოლიტიკურ ცხოვრებას, სადაც მხიარულებას და ფერს

მხოლოდ ველური რუსები, ანაც მხიარული და თავზეხელაღებული სამხრეთელები შევიტანთ“(ბაგრატიონ-დავითაშვილი, 2018). - მსგავსი შეფასებები, ვფიქრობთ, არაეთიკურია და ეწინააღმდეგება ჟურნალისტურ ნორმებს(საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-8 პრინციპი, Qartia.ge), ასევე მასალამ შესაძლოა მკითხველში ქსენოფობიური განწყობებიც წარმოშვას.

ქართველი არტისტების რუსეთთან დამოკიდებულება, თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პოპულარულია სამაუწყებლო მედიაში, რადგან ამ საკითხზე მომზადებული გადაცემები სკანდალურობით გამოირჩევა, რაც პოტენციურად დიდ რეიტინგს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ კვლევაში შემავალი გადაცემებიდან ამ საკითხს ყველაზე ხშირად, „პრაიმშოუ“ შეეხო. 2017 წლის 29 აპრილს გასულ გადაცემაში რუსეთში ქართველი არტისტების ვიზიტების სისწორის განხილვას დაეთმო. შოუს წამყვანმა ნინი ბადურაშვილმა აღნიშნა: „არსებობს ზღვარი, რომელიც არ უნდა გადალახო ფულის გამო, როდესაც ეს ეხება შენი და სამშობლოს ღირესებას“(პრაიმშოუ, 2017). მალევე მომღერალმა მოსკოვში მისი ვიზიტიც გაიხსენა და დაამატა: „თბილისობაზე ჩავედი ქართულმა დიასპორამ მიმიწვია, ქართველებისთვის ვიმღერე, არცერთი პოლიტიკოსს არ შევხვედრივარ. ამ შემთხვევაში მე ვერ ვხედავ რაიმე პრობლემას, ქართველები გავახარე, რა დაშავეს მათ?“(პრაიმშოუ, 2017). ქეთა თოფურიას პოლიტიკურ აქტივობებზე მსჯელობისას კი ნინიმ თოფურიას პუტინისადმი კეთილგანწყობა რუსეთში მისი მოღვაწეობით გაამართლა. ტელეპროექტის ერთ-ერთმა წამყვანმა ნინა კუზანოვამ გადაცემაში თავისი მკაცრი პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა, რომ მუსიკოსებისა და ხელოვანი ხალხის მოსკოვში ვიზიტი დაუშვებელია: „იმის მაგივრად რომ დავაფიქსიროთ - ესაა ჩვენი მტერი, ჩვენ ჩავდივართ კონცერტებს ვმართავთ, ვეცეკვებით. რუსეთი სათავისოდ იყენებს ამ ყველაფერს, მათ ჩვენი კულტურა არაფერში არ სჭირდებათ. ჩვენი შვილების მკვლელებისგან ფული რატომ უნდა ავიღოთ“(პრაიმშოუ, 2017) - განაცხადა მან.

ანრი ჯოხაძემ მუსიკის, როგორც პროტესტის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ფორმის, არსებობაზე გაამახვილა ყურადღება და გაიხსენა მაგალითები, როდესაც ისეთმა ცნობილმა მუსიკოსებმა, როგორებიც არიან ბიორკი და Pink Floyd-ის წევრები ამა თუ იმ გეოპოლიტიკურ თემაზე თავიანთი აზრი ღიად დააფიქსირეს: "არტისტს პროტესტი უნდა გქონდეს შენს შემოქმედებაში, ქართველი მუსიკოსები, რომელბიც რუსეთში ჩავიდნენ მათში, ეს პროტესტი არ ყოფილა"(პრაიმშოუ, 2017).

გადაცემა ნოე სულაბერაძემ შეაჯამა. მან საზოგადოების ერთი ნაწილის შეხედულება, რომლის მიხედვითაც რუსეთში არტისტების ვიზიტები გამართლებულია, რადგან კულტურული ურთიერთობები კონფლიქტებს აგვარებს, არასწორად მიიჩნია: „ჯერ არ მინახავს კომფლიქტი რომელიც კულტურული დიალოგით მოგვარებულიყო. ადამიანი, რომელიც წარმოაჩენს თავის ქვეყანას ვალდებულია იცოდეს ზღვარი სად გადის თავისი ინტერესი და ქვეყნის ინტერესი"(პრაიმშოუ, 2017) - აღნიშნა წამყვანმა.

შოუში რუსეთის თემის განხილვა მხოლოდ ერთი გადაცემით არ ამოწურულა. 2017 წლის 6 დეკემბერს ტელეშოუ საქართველოში გამართულ საბავშვო ევროვიზიაზე რუსეთის გამარჯვებას მიეძღვნა. ერთი შეხედვით უწყინარი საბავშვო კონკურსი და საქართველოს მხრიდან რუსეთის წარმომადგენლისთვის 12 ქულის დაწერა გადაცემაში ანტისახელმწიფოებრივად შეფასდა. ანრი ჯოხაძემ გადაცემა ამ სიტყვებით დაიწყო: „ანტისახელმწიფობრივი ქმედება თუ გაპარული შეცდომა"(პრაიმშოუ, 2017).

გადაცემაში გაჟღერდა მოწოდება, რომ რუსეთის მონაწილე ქართულ სახელმწიფოს ქვეყანაში საერთოდ არც უნდა შემოეშვა. მსგავსი ფრაზების გარდა შოუში აქცენტი გაესვა რუსული ესტრადის უხარისხობასაც, კონკურსზე საქართველოს წარმომადგენლის გრიგოლ ყიფშიძის პროდიუსერმა თქვა: „ეს ნომერი იყო გოიმური, ისევე როგორც მთელი რუსული ესტრადა, არ იყო გამარჯვების ღირსი" (პრაიმშოუ, 2017) - მსგავსი შეფასება, რომელიც არგუმენტებით არაა გამყარებული გარკვეულ ჯგუფებს საბაბს აძლევს იფიქრონ, რომ მედიასაშუალებები ხელს უწყობენ

ანტირუსული განწყობების პროპაგანდას, ეს კი საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხეს უქმნის.

მიუხედვად იმისა, რომ „პრაიმშოუ“ ღიად აპელირებს რუსულ ოკუპაციაზე და გადაცემაში ქართველი არტისტების რუსეთში მოღვაწეობას უარყოფითად აფასებენ თამარ გვერდწითელთან ინტერვიუს დროს წამყვანმა ოკუპაციის შესახებ კითხვაც კი არ დასვა. ეს კი გადაცემის ორმაგ სტანდარტზე მეტყველებს.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა 2018 წლის 14 ნოემბერს გასული გადაცემა, რომელშიც მომღერლებმა ირმა სოხაძემ და ნატო გელაშვილმა გააჟღერეს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „იქ ჩასვლა შეიძლება, რუსეთში რომ ქართველს ტაშს უკრავენ ეს გამარჯვებაა“(პრაიმშოუ, 2018). შოუში ნინი ბადურაშვილმა ინტერვიუ ჩაწერა ნანი ბრეგვაძესთან, რომელიც რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულებების შემცველი მოსაზრებების სიჭარბით გამოირჩეოდა. „შენი სიმღერით, შენი საქციელით შენ მათ აყვარებ შენს ქვეყანას, კი არ ამცირებ. ბევრი კარგი ხალხია იქაც. ხალხი რომელიც მოდის კონცერტზე გიყვირიან „ჩვენ გვიყვარხარ, ჩამოდი“ ეს პატარა რაღაც არაა, ესაა დიპლომატიაა? “(პრაიმშოუ, 2018)- განაცხადა მომღერალმა. შოუში ნოემ ასევე აღნიშნა ისიც, რომ ორი რუსეთი არ არსებობს და მოსაზრებები ოკუპანტ ქვეყანასთან კულტურული ურთიერთობების შესახებ, მცდარია.

რუსეთისადმი კრიტიკული განწყობები Popmusic.ge-შიც გაიელვებს ხოლმე, განსაკუთრებით, ანალიტიკურ მასალებში. სტატიაში(https://bit.ly/2Xv73ar) „10+1 სიმღერა რევოლუციაზე და სისტემის ნგრევაზე“ ეგორ ლეტოვის კომპოზიციაზე ავტორი წერს: „ფაქტია, რომ დღევანდელ რუსეთში, სულიერ-ინტელექტუალური ავი ვნება ნაციონალ-ბოლშევიზმის მიმართ ზედაპირზეა ამოტივტივებული. ეგორ ლეტოვი კი ამ ხალხის მორალური ორიენტირია. ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი სამსხვერპლოზეც კი მიიტანა - 5 ინფარქტი გადაიტანა, მეექვსემ კი, 2008 წელს, მოკლა კიდეც“(ხადური, 2018) - გამოცემაში რუსეთი On.ge-ს მსგავსად წარმოჩენილია ავტორიტარულ სახელმწიფოდ, რომელიც ზღუდავს შემოქმედებით თავისუფლებას.

- **ძირითადი ტენდენციები:**

- მედიასაშუალებებში რუსულ პოპმუსიკაში მიმდინარე მოვლენების გაშუქება ანტირუსული განწყობების წარმოშობის საფრთხეს აჩენს;
- ონლაინ მედიაში რუსეთი ავტორიტალურ ქვეყნადაა წარმოჩენილი;
- ქართულ მედიაში რუსული პოპულარული მუსიკა ცალსახად უგემოვნოდაა შეფასებული;
- რუსული პოპულარული მუსიკა მხოლოდ უარყოფით კონტექსში შუქდება;
- სამაუწყებლო მედია ქართველი არტისტების რუსეთთან დამოკიდებულების თემას რეიტინგის ასამაღლებლად იყენებს;
- ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პრაიმშოუში“ რუსეთისადმი კეთილგანწყობილი პოზიციები ხშირად ისმის;
- გადაცემა „პრაიმშოუში“ რუსეთში მოღვაწე ქართველი არტისტების გაშუქებისას ორმაგი სტანდარტი შეინიშნება;
- ქართულ მედიაში პოპმუსიკა რუსულ ოკუპაციასთა ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებადაა წარმოჩენილი;

❖ სოციალური და პოლიტიკური თემები

ქართული მედიასაშუალებები მუსიკის გაშუქებისას ძირითად ყურადღებას მის სოციალურ დატვირთას აქცევენ. გამოცემებს ახასიათებთ დასავლური შოუ-ბიზნესის სიახლეების სოციალურ და კულტურულ ჭრილში განხილვა. მაგალითისთვის On.ge-ში 2017 წლის თებერვალს გამოქვეყნდა მასალა(https://bit.ly/2JiKDk9) ბობ მარლის აქამდე უცნობი ფოტოების შესახებ. ჟურმალისტმა იამაიკელის შემოქმედება მხოლოდ ერთი კუთხით განიხილა და უპირატესობა მის ნამუშევრების სოციალურ ღირებულებას გაუსვა. ამან კი მკითხველს საშუალება არ მისცა არტისტის კარიერის მრავალფეროვნებას სრულფასოვნად გასცნობოდა.

მუსიკოსების შემოქმედებაში სოციალურ პათოსზე ყურადების გამახვილება პოპულარულია ანალიტიკურ მასალებშიც. 10 ქართული „კლასიკური“ ჰიპ ჰოპ კომპოზიციის განხილვისას(https://bit.ly/2JujLMN) Popmusic.ge-ს ჟურნალისტები ბებერის კომპოზიციის „დუმდა“ შესახებ, წერენ: „სანამ ჟანრის უცხოელი სუპერვარსკვლავები საკუთარ ვიდეოკლიპებს მოკლემეტრაჟიან ფილმებს დაამსგავსებდნენ, რევაზ მორჩილაძე, სასცენო სახელით ბებერი, იმერეთის მღვიმეებიდან მწვავე სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ვიზუალური ნამუშევრებით გვანებივრებდა. თუმცა, არტისტის ნოვატორობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. მან ჰიპ ჰოპის თანამედროვე ტენდენციებს წლებით გაუსწრო და მამბლ რეპის პიონერადაც მოგვევლინა, რაც, სავარაუდოდ, თავად მუსიკოსისთვის დღემდე უცნობია“(ლაცუზბაია, ნონიაშვილი, & გოგუაძე, 2019). სტატიაში აქცენტი ჰიპ ჰოპის ვიწრომასშტაბიან „მისიაზეა“ - ასახოს ქვეყნის სოციალური და კულტურული რეალობა - გაკეთებული. რაც ვფიქრობთ, ჟანრს ჩარჩოებში აქცევს და ხელს უწყობს სტერეოტიპული შეხედულებების გავრცელებას, რომელთა მიხედვითაც ჰიპ ჰოპის მთავარი დანიშნულება მხოლოდ საზოგადოებაში მიმდინარე მნიშვნელოვან თემებზე რეფლექსიაა.

ქართულ მედიაში ნაკლებად გვხვდება რეცენზიები მუსიკალური ალბომების შესახებ. ამ მხრივ Popmusic.ge მკითხველს ახალი ნამუშევრების შესახებ პროფესიონალურ თვალსაზრისებს პერიოდულად სთავაზობს. ჩანაწერების ერთიანი კონცეფციით განხილვა კი ნათლად წარმოაჩენს იმ იდეურ და კულტურულ ასპექტებს, რომლებიც ქართველი ავტორებისათვის ნამუშევრებში ყველაზე საინტერესოა.

ბრიტანული დუეტის, Sleaford Mods-ის ჩანაწერის Eton Alive განხილვისას (https://bit.ly/2NEPdgI) ჟურნალისტი გიორგი ლაცუზბაია ჩანაწერის სოციალურ და იდეოლოგიურ დატვირთაზე აკეთებს აქცენტს: „მუსიკოსებს ამ ჩანაწერით გულდაწყვეტილი არავინ დაუტოვებიათ - ბრექსიტის ავტორები და მათ პოპულიზმს აყოლილი პროლეტარები, შეძლებული ოჯახებიდან გამოსული ჰიპსტერები, უნიათო

პოლიტიკოსები და ფსევდოინტელექტუალი ექსპერტები, რომელთა უმეტესობას სიღარიბე ცხოვრებაში წამითაც არ უგრძვნია, მაგრამ მძიმე სოციალურ თემებზე ბრძნული სახით მსჯელობას თავს მაინც არ ანებებენ“(ლაცუზბაია, 2019) - რა თქმა უნდა, ალბომების შეფასება ნამუშევრის ყოველმხრივ დაკვირვებას მოითხოვს, მაგრამ გამოცემის ერთგვარი ტენდენციაა არტისტების ჩანაწერებში სოციალურ თემებზე ყურადღების გამახვილება. ეს არამარტო ჰიპ ჰოპ მუსიკოსებს, არამედ საერთოდ პოპულარული მუსიკის ამა თუ იმ ჟანრში შექმნილი ალბომების შესახებ დაწერილ მასალებსაც ეხებათ.

აღსანიშნავია, რომ ქართული მედიაარხები ინტერესდებიან მუსიკოსების მიერ წამოჭრილი ისეთი სოციალური თემებითაც, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის ნაკლებ მნიშვნლოვანია. მაგალითისათვის On.ge-მ 2018 წელს მკითხველებს შესთავაზა დეტალური ანალიზი (https://bit.ly/2YBVrit) Childish Gambino-ს ახალი კლიპის შესახებ, რომელიც იარაღის კონტროლს შეეხო: “სიურეალისტური ვიდეო რეჟისორმა ჰირო მიურაიმ გადაიღო, რომელშიც ამერიკა რამდენიმე ნაწილად იყოფა. ესაა ერთდროულად მხიარულებისა და სისასტიკის ადგილი, სადაც ცეკვავენ, მღერიან, იარაღს კი არავინ აკონტროლებს და ამას უამრავი ადამიანი ეწირება. ვიდეოში უამრავი ალეგორიაა გამოყენებული. კლიპი სასიამოვნოდ იწყება, მსუბუქი მელოდიისა და უდარდელი სიმღერის ფონზე, თუმცა, ამ განწყობას მოულოდნელი გასროლა ცვლის. უკანა ფონზე ჩნდებიან მეამბოხეები, შემდეგ კი ბედნიერი მოცეკვავეები. უნიფორმებში გამოწყობილი არცერთი მოცეკვავე იმჩნევს მათ გარშემო არსებულ ძალადობას - ან უბრალოდ, ამ უგულებელყოფის სტრატეგიით ცდილობს მძიმე რეალობისგან თავის შორს დაჭერას და თავის გადარჩენას“(On.ge, 2018) - ვკითხულობთ ნიუსში. მსგავსი მასალების გამოქვეყნება მნიშვნელოვანია, რადგან ეს ყველაფერი ქართველ მკითხველს საშუალებას აძლევს დასავლელი არტისტებისთვის საჭირბოროტო საკითხებს გაეცნონ და მხოლოდ მათთვის საინტერესო სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით არ შემოიფარგლონ.

თანამედროვე პოპულარულ მუსიკაში მოღვაწე არტისტები „ლგბტ“ თემს მხარს აქტიურად უჭერენ. განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ ჩვენს საზოგადოებაში არსებული უარყოფითი განწყობების შედეგად, ეს თემა ქართული მედიისთვისაც აქტუალურია. ძირითადად „ლგბტ“ თემთან დაკავშირებულ საკითხებს გამოცემები და მაუწყებლები დადებით კონტექსტში აშუქებენ და ცდილობენ მოქალაქეებში ამ ჯგუფის წევრების მიმართ პოზიტიური განწყობები შექმნან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტელევიზიის როლი, რადგან დღეს საქართველოში ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარულ საშუალებად კვლავ სამაუწყებლო მედია რჩება (NDI, 2018).

2017 წელს, ნანუკა ჟორჟოლიანმა გადაცემა მიუძღვნა ქართველი მუსიკოსის მალიბუს ახალ კლიპს, რომელიც საქართველოში არსებულ ჰომოფობიურ განწყობებს ეხებოდა. 2019 წლის 13 თებერვლის გადაცემაში კი ტრანსგენდერი მომღერლის, ანასტასია პირველის ცხოვრებისეული ისტორია გაგვაცნო: “იმ ფონზე, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ტრანსგერდერებს კლავენ, საკუთარ იდენტობაზე საჯაროდ საუბარი ნიშნავს რისკს, თუმცა, ანასტასიას გამოჩენის მიზეზი საკუთარ იდენტობაზე საუბარი არ ყოფილა, სიმღერის სიყვარულმა გახადა იძულებული მისთვის საძულველი პოპულარობის გზა აერჩია და რადგან ახლა ეს არჩევანი უკვე გააკეთა უკან დასახევი გზაც თავად მოიჭრა“(ნანუკას შოუ, 2019) - ასეთი შესავალი გაუკეთა რუბრიკას ნანუკამ და მაყურებელს საშუალება მისცა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე მომღერალი დადებითი კუთხით დაენახა. გადაცემაში გაჟღერდა პოზიტიური მესიჯები, რომელთა მიხედვითაც ადამიანების ჩაგვრა, მათზე ძალადობა არ შეიძლება და მუსიკაა ამ თემებზე საუბრის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალება.

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მაყურებლებს 2019 წელს მუსიკალური გადაცემა „საქართველოს ვარსკვლავი“ წარუდგინა. შოუს შემქნელები შეეცადნენ გადაცემაში „ლგბტ“ თემის წარმომადგენელიც ჩაერთოთ და საზოგადოებაში ამ უმცირესობის მიმართ დადებითი განწყობა შეექმნათ. ქასთინგზე ტრანსგერდერ მომღერალ

ანასტასია პირველზე მომზადდა პოზიტიური სიუჟეტი, რომელშიც წარმოჩინდა მისი ცხოვრება და საქმიანობა და ის სირთულეები, რომლებსაც არტისტი ცხოვრებაში აწყდება. მან ჟიურთან შეხვედრისას აღნიშნა: „მინდა წარვადგინო ის ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში იტანჯებოდნენ და ჰქონდათ დიდი ტკივილი, მე მათი ხმა ვარ. მე მოვედი იმ ადამიანებისთვის, ვინც ეს ცხოვრება განვლეს და დროა იმისა, რომ ჩვენ ყველგან მიგვესვლება და გვეთქმის ჩვენი სიტყვა“(საქართველოს ვარსკვლავი, 2019). ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, ევროპის მაუწყებელთა კავშირის(EBU) მედია-მართვის კომიტეტის წარმომადგენელმა, პირველი არხის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ თინათინ ბერძენიშვილმა შემსრულებლის გამოსვლა მოიწონა და კონკურსანტის შეფასების დროს მაუწყებლის ლოიალურ პოლიტიკას ხაზი გაუსვა: „ჩვენ ვემზადებით ევროვიზიისთვის და ეს არის მრავალფეროვნების თანასწორობის ფესტივალი და ის დიდი ხანია უკვე გასცდა მუსიკალურ კონკურსს, მე ამას ყოველთვის ხაზს ვუსვამ. პირველი არხი ეს არის მაუწყებელი, სადაც არსებობს მრავალფეროვნება, გამოხატვის თავისუფლება და თანასწორობა ეს არხი ამისთვის უმთავრესი სივრცეა“,(საქართველოს ვარსკვლავი, 2019)- მიუხედავად იმისა, რომ ანასტასია ფინალისტებს შორის ვერ მოხვდა, მაუწყებლის მცდელობამ „კანონი მაუწყებლის შესახებ“ გაწერილი ვალდებულება შეესრულებინა და საზოგადოების მრავალფეროვნება წარმოეჩინა, ასევე „ლგბტ“ თემი ადამიანებისთვის შემოქმედებითი კუთხით გაეცნო მისასალმებელია, რადგან ეს ამ უმცირესობის ირგვლივ შექმნილი სტერეოტიპების დანგრევას უწყობს ხელს.

„ლგბტ“ თემის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს On.ge, რომელმაც 2018 წლის 17 მაისს მკითხველებს სტატია - „17 სიმღერა, რომელიც ლგბტ მოძრაობის ჰიმნად იქცა - შესთავაზა". გამოცემა ასევე პერიოდულად ავრცელებს სექსუალური უმცირესობების მხარდასაჭერად გაკეთებული ცნობილი არტისტების მოწოდებებს.

On.ge-სგან განსხვავებით, Popmusic.ge „ლგბტს" თემატიკას უფრო სიღრმისეულად უდგება და სხვადასხვა პოპულარული ჟანრის მუსიკის ისტორიული ანალიზის დროს სექსუალური ორინტაციის მქონე ადამიანების უფლებებისთვის ბრძოლაში მუსიკის როლსაც მეტად წამოსწევს ხოლმე. სტატიაში(https://bit.ly/2YBUAyp) „ყველა დროის 30 საუკეთესო დისკო კომპოზიცია" ავტორები წერენ: „საწყის ეტაპზე, ახალი სუბკულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სან ფრანცისკომ ითამაშა. კალიფორნიის ეს ქალაქი ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენდა ლგბტ თემის, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ჩაგრული ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. ბუნებრივია, რომ იქაურ საზოგადოებაში მტკიცედ დამკვიდრდა ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა - თავისუფლება და შემწყნარებლობა ნებისმიერი რასის, სქესისა თუ სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ - ყველაფერი ის, რაც შემდგომში დისკოს მსოფლმხედველობის განუყოფელ ნაწილად იქცა"(ლაცუზბაია, დანელი, & ცქიტიშვილი, 2018). - გამოცემა ამ აქცენტებით, რომლებიც მიზნად ისახავს მუსიკალური მოვლენების იდეოლოგიური წიაღსვლების გამოკვეთას, დასავლური პოპულარული მუსიკის ღირებულებითი სისტემის საქართველოში სწორად გაგებასაც უწყობს ხელს. ეს კი, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც ერთობ მნიშვნელოვანია. გარდა ამისა „ლგბტ" თემის საკითხებისადმი ასეთი ყურადღება თანამედროვე პოპულარულ მუსიკაში არსებულ ანტიჰომოფობიურ განწყობებთან თანხვედრაშია. ქართული მედია დასავლურ პოპმუსიკის ლიბერალურ მიდგომებს იზიარებს და მუსიკის საშუალებით სექსუალური უმცირესობების უფლებების ბრძოლის პროპაგანდას ეწევა. ეს ტენდენცია კი კლიპინგის ტექნიკის საშუალებით გამოიკვეთა, რომლის მიხედვითაც „ლგბტ" თემის საკითხების განხილვა მუდმივად დადებით კონტექსტში მიმდინარეობს და მიზნად ისახავს საზოგადოებაში თემის შესახებ პოზიტიური განწყობების შექმნას.

სოციალური თემატიკის გარდა, ქართული მედია ასევე ინტერესდება არტისტებისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართებით. მუსიკოსების წინასაარჩენო კამპანიაში ჩაბმა

განვითარებული სამყაროსათვის სრულიად მისაღები ფორმაა. თანამედროვე მუსიკოსები თავიანთ პოლიტიკურ სიმპატიებს ღიად აფიქსირებენ და მათი რჩეულის პოპულარიზაციას მსმენელშიც აქტიურად ეწევიან. მსოფლიოში ამის უამრავი მაგალითი არსებობს. საქართველოში პოპულარული მუსიკოსების პარტიულ აქტივობებში ჩართვა მიღებული ფორმაა, თუმცა, განსხვავებით უცხოური გამოცდილებისგან, ჩვენთან არჩევნების შედეგზე არტისტების აქტიურობა გავლენას ახდენს თუ არა, ამის დამადასტურებელი ხელშესახები საბუთი შესაბამისი კვლევის არარსებობის გამო არ გვაქვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ელექტორატზე მომღერლის რეპუტაციის ზეგავლენის ფაქტორების შესწავლაც არ ხდება, რაც ამ საკითხზე მსჯელობას საკმაოდ ართულებს. ამის მიუხედავად, ყოველი საარჩევნო კამპანიის დაწყების დროს ვხედავთ, რომ პოლიტიკური პარტიები ცდილობენ საზოგადოებაში მუსიკალური სამყაროს ცნობად სახეებთან ერთად გამოჩნდნენ.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში საქართველოში ორი საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ჩატარდა. მედიის ყურადღება 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებმა და ამ პროცესში მუსიკოსების მონაწილეობამ მიიპყრო. მედიასაშუალებები ძირითადად არტისტების მიერ აღებული ჰონორარებით დინტერესდნენ. On.ge-მ თემის შესახებ მკითხველს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. გამოცემა წინასაარჩევნო პროცესებში პოპვარსკვლავების ჩაბმის არაეფექტურობაზეც გაამახვალა ყურადღება. ანინა ტეფნაძემ ოპ-ედიში (https://bit.ly/2Opiozw) „რა გვასწავლა არჩევნების პირველმა ტურმა“, ცნობილი მომღერლების მორალურ-ღირებულებითი პრონციპები ეჭქვეშ დააყენა და აღნიშნა, რომ ამ პიროვნებებისთვის რომელიმე პარტიასთან კავშირი არა იდეოლოგიური ფაქტორებით, არამედ ფულადი დაინტერესებით განისაზღვრება, შედეგად ავტორი თვლის, რომ მათი პოლიტიკური აქტივობები საზოგადოებისთვის უმნიშვნელოა: „ინტელიგენციის მიერ გამოცხადებულ მხარდაჭერას არავითარი რეალური ძალა არ აქვს და ბიძინა ივანიშვილს უკვე დარწმუნებით შეუძლია ჩათვალოს, რომ სულ ტყუილად აფინანსა წლობით ცნობილი მსახიობებისა თუ მომღერლების ოჯახები.

ახალგაზრდების გააქტიურებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო უმნიშვნელო ხდება, ვის უჭერს მხარს თემურ თათარაშვილი ან ხათუნა ჟორდანია. უკვე ყველამ გაიგო, რომ ქართულ ინტელიგენციას კონკრეტული ტარიფები აქვს და თუ საკმარის თანხას მოვაგროვებთ, ნებისმიერი სიტყვა შეგვიძლია ვათქმევინოთ კამერაში სრულიად სერიოზული სახეებით (რაც, თავისთავად, სულაც არ იქნება ცუდი სოციალური ექსპერიმენტი).”(ტეფნაძე, 2018) - ვკითხულობთ სტატიაში. ამ მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია ავხსნათ On.ge-ს მიერ არტისტების მხოლოდ ჰონორარებზე ყურადღების გამახვილების ტენდენციაც. გამოცემა საზოგადოებაში არტისტების ღირებულებითი სისტემის შესახებ შექმნილ შეხედულებებზე დაყრდნობით, პოლიტიკურ პროცესებში პოპვარსკვლავების მონაწილეობას იდეოლოგიური მნიშვნელობის ნაცვლად, მხოლოდ მერკანტელისტური კუთხით განიხილავს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ პოპმუსიკაში არსებობს გამონაკლისი, როდესაც მუსიკოსის აქტივობას პოლიტიკური გარდაქმნებიც კი მოჰყოლია. ამ მხრივ გამორჩეული ბიძინა ივანიშვილის ვაჟი - მუსიკოსი ბერა ივანიშვილია. საინტერესოა, რომ კვლევაში შემავალი გამოცემების დღის წესრიგში არტისტი მხოლოდ მის მიერ გაკეთებული განცხადებების წყალობით ექცევა. მაგალითად On.ge-მ მუსიკოსის ახალი ნამუშევრებზე მომზადებული მასალების ნაცვლად, ბერას მხოლოდ პოლიტიკური ნარატივის შემცველი განცხადებები, „ბირჟა მაფიის“ წევრების განთავისუფლებასა და მარიხუანას ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, გააშუქა.

შიდაპოლიტიკური საკითხების გარდა ქართულ მედიასაშუალებებში დასავლური პოლიტიკური პროცესები პოპულარული მუსიკის საშუალებითაც იჩენს თავს. მედიაარხებისთვის განსაკუთრებით საინტერესო ტრამპის პერსონა და მისდამი ცნობილი არტისტების დამოკიდებულების წარმოჩენაა. ამ მხრივ Popmusic.ge-ს ჟურნალისტები ალბომებზე რეცენზიების წერისას არტისტებისგან ტრამპის პოლიტიკის კრიტიკას ხაზს ყოველთვის უსვამენ. მაკ მილერის ნამუშევარზე დაწერილი მიმოხილვის(https://bit.ly/2YEjm0G) დროს ჟურნალისტმა ლიკა მაისურაძემ

ყურადღება გაამახვილა თანამედროვე ჰიპ ჰოპში არსებულ ტენდენციაზე, რომლის მიხედვითაც არტისტებისთვის ტრამპის კრიტიკა ერთგვარ წესადაც კი იქცა.

ტრამპის პოლიტიკის კრიტიკა მისი არჩევიდან მოყოლებული შოუ-ბიზნესში ყველაზე ხშირად ისმის, შესაბამისად, ქართული მედიაარხებიც სისტემატიურად აშუქებენ მუსიკოსების მიერ გაკეთებულ ანტიტრამპულ განცხადებებს, ყურადღებას ამახვილებენ ნამუშევრებზე, რომელშიც აშშ-ს პრეზიდენტია გაკრიტკებული, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ანტიტრამპული სულისკვეთება ქართულ მედიაარხებში ყოველგვარი ანალიზის გარეშე ხვდება. ხშირშემთხვევში მკითხველისთვის გაუგებარია ამა თუ იმ არტისტის მიერ ტრამპის წინააღმდეგ ჩაწერილი სიმღერა კონკრეტულად პოლიტიკოსის რომელ გადაწყეტილებას ეხება, ვინაიდან ქართული და ამერიკული პოლიტიკური სისტემა ერთმანეთისგან განსხვავდება აუცილებლად მიგვაჩნია მსგავს მასალებში მეტი ანალიტიკა შემოვიდეს, რათა საფუძვლიანად გაერკვიოს საზოგადოება თუ რატომაა დასავლურ მეინსტრიმ მუსიკაში დონალდ ტრამპის განხორციელებული პოლიტიკა ასეთი მიუღებელი.

- **ძირითადი ტენდენციები**

- ქართული მედიაარხები პოპმუსიკის სოციალურ გზავნილებით ინტერესდებიან;
- მედიასაშუალებები ჰიპ ჰოპის მთავარ დანიშნულებად სოციალურ საკითხებზე რეცეფციას განიხილავენ;
- ქართული მედია „ლგბტ“ თემი უფლებების პროპაგანდას ეწევა, დასავლურ პოპმუსიკის ანტიჰომფობიურ პათოსს სრულად იზიარებს, რაც საზოგადოებაში ამ ჯგუფის ირგვლივ შექმნილი სტერეოტიპების ნგრევას ხელს უწყობს;
- ქართული მედია მუსიკოსების პოლიტიკურ იდეოლოგიურ ღირებულებებს ეჭქვეშ აყენებს;
- არტისტების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა ქართული მედიისთვის მხოლოდ მერკანტელისტური კუთხითაა საინეტერესო;

❖ ნარკოპოლიტიკა

ქართული მედიისთვის მუსიკის სოციალურ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც არტისტები ნარკოტიკებზე იწყებენ საუბარს. ნარკოპოლიტიკა და მასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერი ყველაზე განხილვადი საკითხია. შესაბამისად, ეს თემა მედიისთვისაც აქტუალურია. 2018 წელს, 12 მაისს კლუბ „ბასიანსა“ და კაფე „გალერეაში“ სპეცრაზმის მიერ ჩატარებულმა რეიდმა ნარკოტიკების შესახებ მედიაარხებში მასალების ხშირი განთავსება განაპირობა. სპეცოპერაციის შემდეგ ნარკოტიკები, კლუბური მუსიკა თავისუფლებასთან ბრძოლის სინონიმებად იქცა. რუსთაველზე გამართულმა აქციამ კი საპროტესტო მოძრაობის სახე მიიღო.

On.ge-მ სპეცოპერაციისა და რუსთაველზე გამართული რეივის შესახებ მკითხველებს ჯამში 48 მასალა შესთავაზა. მან მოვლენები ეპიცენტრიდან გააშუქა, მომხმარებლებს თემასთან დაკავშირებული ყველა დეტალი უამბო. ამის მიუხედავად, გამოცემას დაავიწყდა ყურადღება გაემახვილებინა თავად მოვლენის არსსა და მნიშვნელობაზე.

რუსთაველზე გამართული რეივი ქვეყნის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მოქალაქეებმა თავისი პროტესტი მუსიკის მეშვეობით გამოხატეს. დასავლურმა გამოცემებმა Resident Advisor, DJ Mag და Mixmag-მა აქცია კულტურულ ჭრილში განიხილეს და მას ისტორიული უწოდეს, მაშინ, როდესაც ჩვენს კვლევაში შემავალმა ქართული მედიასაშუალებათა უმრავლესობამ მოვლენების მხოლოდ ზედაპირული გაშუქება არჩია. გამონაკლისი აღმოჩნდა მხოლოდ Popmusic.ge, რომელმაც რეივი წლების წინ ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე მოწყობილ აქციას შეადარა: „ელექტრონული მუსიკის მსოფლიო სცენაზე მსგავსი მასშტაბის მოვლენა

ბოლოს 1990-იანი წლების ბრიტანეთში მოხდა. მაშინ ხელისუფლების მხრიდან თავისუფლების შეზღუდვის მცდელობას მრავალათასიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა. ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე გამართული რეივი ათწლეულების შემდეგ თბილისში, რუსთაველის გამზირზე განმეორდა“(მაისურაძე, 2018).

გამოცემამ მოვლენები სოციალურ-კულტურულ ჭრილში განიხილა და მკითხველს სტატიაში(https://bit.ly/2XP44sJ) „10 საუკეთესო ტრეკი, რომელიც აქციაზე "ჩვენი თავისუფლებისთვის“ დაუკრეს“ მისი მნიშვნელობა ნათლად დაანახა: „ამ ტრეკის გაჟღერებისას ნათელი გახდა, რომ შეკრება გასცდა ჩვეულებრივი საპროტესტო აქციის ფარგლებს. ცეკვამ თავისუფლებისთვის რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებს სოციალურ-კულტურული დატვირთვა შესძინა. ეს განცდა სწორედ მეტატრონის კომპოზიციამ გააჩინა და ამიტომაც იქცა ის ორივე დღის მთავარ საუნდტრეკად“(მაისურაძე, 2018).

ნარკოტიკებისადმი განსაკუთრებით ლოიალური დამოკიდებულებით Popmusic.ge გამოირჩევა. 2018 წლის 30 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარება ლეგალურად გამოაცხადა ამ მოვლენას კი გამოცემამ მიუძღვნა სპეციალური სტატია(https://bit.ly/2LK9A9X) „10 საუკეთესო სიმღერა მარიხუანაზე“ , რომელშიც ვკითხილობთ: „ჩვენ კი ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად გთავაზობთ, ერთად მოვუსმინოთ კანაბისის შესახებ შექმნილ ათ საუკეთესო კომპოზიციას“(ლაცუზბაია & გოგუაძე, 2018). სტატიის ავტორებმა მარიხუანას ეპითეტიც მოუძებნეს და მას „ღვთაებრივი მცენარე“ უწოდეს: „მუსიკოსი ხშირად აღნიშნავდა, კანაფი თავის შეცნობის მშვენიერი გზააო. ასე რომ, რეგეის მამის მიერ ღვთაებრივი მცენარისთვის მიძღვნილი სიმღერა, ალბათ, არავის გააოცებს“(ლაცუზბაია & გოგუაძე, 2018).

ნარკოტიკებზე ყურადღებას გამოცემის ავტორები ალბომებზე დაწერილ რეცენზიებშიც ამახვილებენ. ძირითადად, ამდაგვარი აქცენტები გვხვდება ჰიპ ჰოპ ნამუშევრების შეფასების დროს თუმცა, ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკითხები

თავს იჩენს ისეთ მასალებშიც, როგორებიცაა მაგალითად, „10 საუკეთესო ალბომი კრაუტროკის ისტორიაში“(ლაცუზბაია, 2018).

ნარკოპოლიტიკაზე, მედიასაშუალების მხრიდან ასე ხშირად აქცენტის გაკეთება მისი სარედაქციო პოლიტიკით არის განპირობებული. გამოცემა აქტიურად ცდილობს მარიხუანას პროპაგანდას და ამ თემაზე საზოგადოებაში ლიბერალური დამოკიდებულებების გავრცელებას.

გამოცემაში ნარკოტიკები დადებით კონტექსტში არამარტო ანალიტიკურ მასალებშია მოხსენიებული, არამედ ახალ ამბებშიც, მაგალითად შეგვიძლია სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებული მასალების სათაურებიც მოვიყვანოთ: „ნახეთ: რეპერმა REDMAN-მა 20 წლის წინ დაკარგული მარიხუანა იპოვა“, „ნახეთ: Snoop Dogg-მა თეთრ სახლთან კანაფი მოწია და ტრამპს აგინა“, „მაიკ ტაისონი კანაფისადმი მიძღვნილ მუსიკალურ ფესტივალს გამართავს“ და ა.შ.

- **ძირითადი ტენდენციები**

- პოპულარული მუსიკა, ელექტრონული მუსიკა და ნარკოპოლიტიკა ქართულ მედიასაშუალებებში თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოებად იქცა.
- Popmusic.ge მარიხუანას პოპულარიზაციას ღიად ეწევა და მას „ღვთაებრივ მცენარედ“ მოიხსენიებს. ჩვენი აზრით, გაუმართლებელია ცხოვრების არაჯანსაღი წესის წახალისება და ნარკოტიკების რომანტიზების ტენდენცია;
- რუსთაველზე გამართული რეივ საპროტესტო აქცია დასავლურ მედიაში ისტორიულად შეფასდა, ქართული მედიასაშუალებების უმრავლესობამ კი ამ მოვლენის სოციალურ მუხტზე ყურადღება არ გაამახვილა;
- რუსთაველის რეივი სოციალურ-კულტურულ ჭრილში მხოლოდ Popmuic.ge-მ გააშუქა და მკითხველებს მოვლენის მნიშვნელობა ნათლად აუხსნა;

❖ გენდეული საკითხები

90-იანი წლებიდან მოყოლებული, პოპ არტისტებმა გენდერულ საკითხების საკუთარი შემოქმედებაში შემოტანა აქტიურად დაიწყეს. ეს შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს მსოფლიოში სრულიად ახალი გამოწვევები გაჩნდა და მუსიკაში ფემინიზმზე, ქალთა ჩაგვრაზე, მათ სექსუალურ შევიწროვებაზე შექმნილმა სიმღერებმაც საგრძნობად მოიმატა. პრესტიჟული მუსიკალური გამოცემა Billboard-ის ჟურნალისტი ჯენიფერ არმსტრონგი თავის სტატიაში When Did Feminism Become a Job Requirement for Female Pop Stars? სწორედ ამ ტენდენციაზე წერს. მისი აზრით, დღეს თანამედროვე შოუ-ბიზნესში მსგავს თემებზე ყურადღების გამახვილება პოპკულტურის აუცილებელი მოთხოვნაა.

პოპმუსიკაში გენდერული საკითხები ქართული ონლაინ მედიისთვისაც ძალიან საინტერესოა. ეს კი განსაკუთრებით აქტუალური 2017 წელს Me Too მოძრაობის შედეგად გახდა. 2017 წელს „გრემის“ რიგით მე-60 დაჯილდოების ნომინანტების დასახელებისას On.ge-მ აქცენტი ცერემონიის გენდერულ უთანასწორობაზე გააკეთა: „როგორც აღმოჩნდა, 2018 წლის გრემის ნომინაციების კატეგორიებში ქალები არც ისე მრავლად არიან, სამაგიეროდ JAY-Z-ს 9 ნომინაცია აქვს, კენდრიკ ლამარს - 7, ხოლო ბრუნო მარსს - 6. ბოლო წლებში ,,გრემის“ აკრიტიკებდნენ, რომ არათეთრკანიანი არტისტები დაჯილდოებებზე იჩაგრებოდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2017 წელს ადელმა 5 გრემი მოიპოვა, ბიონსემ კი მხოლოდ 2. ბიონსემ წლის საუკეთესო ალბომის ჯილდო 2015 წელსაც ვერ მიიღო, როდესაც Beck-თან დამარცხდა“(გრემი 2018-ის წლის საუკეთესო ჩანაწერის ნომინაციაში ქალები არ არიან, 2017) - წერია მასალაში. აღსანიშნავია, რომ დაჯილოების ნომინანტებს შორის ქალების ნაკლებობასა და რასობრივ უთანასწორობას ხაზი დასავლურმა გამოცემებმაც გაუსვეს. 2019 წლის ,,გრემი“ გამოცემამ ისტორიულად შეაფასა, რადგან გამარჯვებულების უმრავლესობა

ქალები აღმოჩნდნენ და Cardi B გახდა პირველი ქალი, რომელმაც წლის საუკეთესო ჰიპ ჰოპ ალბომის ნომინაციაში ჯილდო მიიღო.

წლის განმავლობაში რამდენიმე ათასი ახალი სიმღერა და კლიპი იქმნება, ქართული გამოცემების დღის წესრიგში კი ცოტა მათგანი ხვდება. საყურადღებოა, რომ თუ არტისტები ნამუშევრებში აქცენტს ფემინიზმზე გაამახვილებენ, ეს ავტომატურად ნიშნავს მედიისგან გამოჩენილ ყურადღებას. მაგალითისთვის, 2017 წელს პოპულარულმა ჰიპ ჰოპ არტისტმა Jay-Z-მ რიგით მე-13 სტუდიური ალბომი 4:44 გამოუშვა. ამ მოვლენის შესახებ On.ge-მ მკითხელებს ნიუსიც კი არ შესთავაზა. სამაგიროდ, ჯეი ზიმ გამოცემის ყურადღება 2018 წელს მიიქცია ამ სტუდიურ ჩანაწერში შესული კომპოზიციით Family Feud, რომლის ერთ-ერთ ეპიზოდშიც მაგიდასთან ქალები სხედან და ამერიკის კონსტიტუციას ხელახლა წერენ.

აღსანიშნავია, რომ On.ge მკითხველებს ხშირად სთავაზობს მასალებს, რომლებშიც მდედრობითი სქესის წარმოამდგენელი არტისტები პატრიარქალური კულტურის მიერ ქალებისთვის განსაზღვრულ ქცევით წესებს არ ემორჩილებიან. მაგლითად, 2018 წელს გამოცემამ ჟურნალ InStyle-სთვის მიცემული ჯენიფერ ლოპესის ინტერვიუ გააშუქა. მედიასაშუალებამ საიტის სტუმრებს ყურადღება გაამახვილებინა მასალის ერთ დეტალზე, რომელშიც მუსიკოსი მის ამბიციებსა და კარიერის ოჯახთან შეუთავსებლობაზე საუბრობს. ეს კი ნათლად გამოხატავს გამოცემის სარედაქციო პოლიტიკას - ქალები მეტად დამოუკიდებლები და ძლიერები გამოჩნდნენ.

კვლევის განმავლობაში ქართულმა მედიაარხებმა დიდი ყურადღება ქალი არტისტების სექსუალურ შევიწოვებასა და მათზე განხორციელებულ ძალადობის შესახებ მომზადებულ მასალებსაც დაუთმეს.

ქალ მუსიკოსებზე განხორციელებულ ძალადობებს ყველაზე ხშირად On.ge აშუქებდა. მან დეტალურად მიმოიხილა ლედი გაგას, შინეიდ ო'კონორისა და ტეილორ სვიფტის ისტორიები. აღსანიშნავია, რომ საიტმა 2018 წელს ემინემის ახალი კლიპის შესახებ მოამზადა მასალა(https://bit.ly/2XUwZvw), რომელსაც შემდეგი აღწერა დაურთო:

„კლიპში 45 წლის მომღერლისა და დაქორწინებული ქალის ურთიერთობაა ასახული. ქალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია და ამის შემდეგ ხვდება მარშალს: "მარშალი ის ყველაფერია, რაც ჩემი ქმარი არ ყოფილა" - ამბობს ქალი ემინემზე. მოგვიანებით რეპერის პერსონაჟი იგებს, რომ ქალი, რომელსაც ხვდება, მისგან ორსულადაა“ (ვალენტინობის დღეს, ემინემი ემოციური კლიპით დაბრუნდა, 2018) - ამ მასალაში გამოცემა შეეცადა ემინემი ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგი წარმოეჩინა, მაგრამ კლიპის მსგავსმა ინტერპრეტაციამ ორაზროვანი დასკნების გამოტანის საფრთხე წარმოშვა.

2017 წლიდან მოყოლებული Me Too-ს მოძრაობის შესახებ საზოგადიების განწყობის ფორმირებაში განსაკუთრებული წვლილი მედიასაშუალებებმა შეიტანეს. მსგავსი მოვლენების გაშუქებისას, ობიექტურობის დაცვა და ადამიანებისთვის განსხვავებული შეხედულებების მიწოდება აუცილებელია. Popmusic.ge-სგან განსხვავებით, On.ge-ს მოძრაობის გაშუქებისას ნეიტრალური ტონი ჰქონდა. „პოპმუსიკი.ჯიში“ კი ამ მოვლენისადმი სუბიექტური დამოკიდებულებები გამოიკვეთა: პუბლიცისტმა გია ხადურმა მოძრაობის მიზნები ეჭქვეშ დააყენა. სტატიით(https://bit.ly/2xxNy1F) „არამუსიკოსი ცნობილი ადამიანების 10+1 საუკეთესო სიმღერა“, მან მუსიკალურ ინდუსტრიაზე მკითხველებს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქოს თანამედროვე შოუ-ბიზნესი ძალადობაში მხილებულების მიმართ ლოიალურადაა განწყობილი: „მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ, თუ ფარისევლობით სავსე ჰოლივუდში კევინის სამსახიობო კარიერა საბოლოოდ დასამარდება, მას თამამად შეუძლია სიმღერას მიჰყოს ხელი. თანაც აქ, ჩვენთან, მუსიკის სამყაროში, ბიბლიური სიბრძნეებიც უკეთ მუშაობს. არცერთი თავად ცოდვილი არ ისვრის ქვებს სხვა ცოდვილების მიმართულებით“(ხადური, 2018)

- **ძირითადი ტენდენციები**

- გენდერულ საკითხების შესახებ შექმნილი მუსიკალური ნამუშევრები ქართული მედიის დიდ ინტერესს იწვევენ;

- მუსიკალური მოვლენების გაშუქებისას მედიასაშუალებები ღონისძიებების გენდერულ მახასიათებელს აკვირდებიან;
- ქართული მედიაარხები ცდილობენ ქალი არტისტები ძლიერ და შემდგარ პიროვნებებად წარმოაჩინონ;

❖ მუსიკალური გემოვნება

ყველას გვსმენია ფრაზა - „გემოვნებაზე ყველაზე ხშირად დავობენ“ - ეს საკითხი განსაკუთრებით პოპულარული სამაუწყებლო მედიაშია. კვლევის ფარგლებში შესწავლილ შოუებში პოპულარული მუსიკა სწორედ გემოვნებასა და ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება. რატომღაც, რეიტინგული შოების შემქნელები ვალდებულად თვლიან თავს ხალხის მუსიკალური გემოვნების ხარისხი განსაზღვრონ და გადაცემების საშუალებით ეძიონ პასუხი კითხვაზე - რატომ უსმენს საზოგადოების დიდი ნაწილი მდარე ხარისხის მუსიკას?

საკვლევი პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პრაიმშოუ“ ამ თემას რამდენჯერმე შეხო. უნდა აღინიშნოს ის, რომ ძირითადად ეს გადაცემა არა თავად პრობლემის სიღმისეულ ანალიზზე, არამედ შოუს დადგმაზეა ორიენტირებული.

2017 წლის 20 მაისის გადაცემაში, რომელიც ქართულ შოუბიზნესს მიეძღვნა, მომღერალი სოსო ბერიძე მაყურებლების წინაშე პერფორმანსით წარსდგა. ბერიძის სიმღერის შესრულების დროს, რეჟისორები სტუდიაში მყოფი სტუმრების დამცინავ და ირონიულ სახის მიმიკებს გვაჩვენებდნენ, რაც არაეთიკურია და მეტყველებს გადაცემის პროდიუსერების ჩანაფიქრზე, - ადამიანზე ბულინგის საშუალებით მოაწყონ ეფექტური სანახაობა.

მუსიკოსის მიმართ თავად სტუდიაში მყოფი პიროვნებებიც გამოირჩეოდნენ შეურაცხმყოფელი კომენტარებით. მაგალითად, მომღერალმა მაია ბარათაშვილმა ამ

ნომერს „საძაგლობა“ უწოდა: „ვაი ჩვენს ერს, რომელიც ამ სიმღერას უსმენს და შემდეგ ეს, საზიზღარი, საძაგელი დაბალი ხარისხის მუსიკა, რომელიც ადამიანის სულს და გონებას ანგრევს მომავალ თაობას რჩება“(პრაიმშოუ, 2017). კრიტიკას არც წამყვანები ჩამორჩნენ, ნინი ბადურაშვილის შეფასებით, „სამწუხაროა, მაგრამ მასას მოსწონს ასეთი სიმღერები“(პრაიმშოუ, 2017) - მსგავსი დასკვნები საზოგადოებას ორ ნაწილად ყოფს, მაღალი გემოვნების მქონე მსმენელად და ცუდი ხარისხის მოყვარულებად, რომლებიც ნებისმიერ პროდუქტს ღიად, ანალიზის გარეშე ღებულობენ - ასეთი ზედაპირული წარმოდგენები ჩვენი საზოაგადოების შესახებ არასწორ შეხედულებებს აჩენს და სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს. ასევე მსგავსი მსჯელობა წამყვანებისა და სტუმრების არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელიცაა, რადგან არგუმენტების გარეშე, მხოლოდ სუბიექტურ მოსაზრებეზე დაყდნობით რაიმეს „საძაგლობად“ შეფასება არამართებულია და ეს ნათლად წარმოაჩენს მიენსტრიმ მედიის არასწორ დამოკიდებულებას მუსიკის ფენომენისადმი. მედიის მესვეურები ქმნიან მოცემულობას, როდესაც მუსიკა მხოლოდ რეიტინგისთვისაა საჭირო და ისინი ამ ფენომენის დახმარებით სოციალური და პოლიტიკური მოვლენების ანალიზს სრულიად უარყოფენ.

საინტერესოა ასევე გადაცემაში სტუმრების შერჩევის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ცნობად სახეებს

შოუში მუსიკალურ გემოვნებაზე სასაუბროდ იწვევენ ხოლმე. ყველაზე ხშირად შოუს მაია ბარათაშვილი, ირმა სოხაძე, ზაზა შენგელია, ნუცა ჯანელიძე სტუმრობენ. იმის მიუხედავად, რომ თავიდანვე ცნობილია ამ ადამიანების დამოკიდებულება თემისადმი, „პრაიმშოუში“ ისინი ყოველთვის სასურველი სტუმრები არიან. ეს კი საკითხზე მსჯელობისას აზრთა მრავალფეროვნებას ზღუდავს და ერთი და იმავე მოსაზრებების საზოგადოებისათვის მიწოდებას უწყობს ხელს.

2018 წლის 18 ივლისს გადაცემა მსმენელის უგემოვნობის თემას კიდევ ერთხელ შეეხო. სტუმრებს შორის კვლავ მოხვდა მაია ბარათაშვილი, რომელიც წამყვანებმა

„გენიალურ“ მომღერლად მოიხსენიეს. შოუ გურანდა გაბუნიასათვის დასმული ანრის ჯოხაძის კითხვით გაიხსნა, მომღერალმა სოციალურ მედიაში პოპულარულ არტსიტებს „პარაზიტები“ უწოდა. „ჭეშმარიტი ხელოვნება, როგორ უნდა დავიცვათ პარაზიტებისგან?“(პრაიმშოუ, 2018) - ჰკითხა მან მსახიობს. მსგავსი არაარგუმენტირებული შეფასებები ნათლად აჩვენებს, რომ გადაცემის წამყვანებს სნობისტური დამოკიდებულება აქვთ ე.წ თრეშკულტურის მიმართ, რომლიც პოპულარული მუსიკის განუყოფელი ნაწილია. ფრიად საინტერესოა ისიც, რომ მომღერლები, რომლებიც მუდმივად ამ კულტურას აკრიტიკებენ თავიანთ შემოქმედებას უპირობოდ გემოვნებიანად მოიხსენიებენ, არადა, ხშირად თავად ამ შემსრულებლების რეპერტუარი მუსიკის ექსპერტების კრიტიკასაც კი ვერ უძლებს.

გადაცემაში გაჟღერდა მოსაზრება, რომ თანამედროვე კომპოზიტორები შედევრებს ვერ წრენ და შოუს სტუმრები ვალდებულები არიან მსმენელებს სწორი, გემოვნებიანი მუსიკა მიაწოდონ. ამ „მისიის“ პარალელურად კი ეთერს მომღერალ ხატია წერეთლს უთმობენ, ეს ურთიერთგამომრიცხავი დეტალები თემისადმი ზერელე დამოკიდებულებასა და ორმაგ სტანდარტზე მიგვანიშნებენ.

ამავე საკითხს შეეხო ნანუკა ჟორჟოლიანი 2019 წლის 13 მარტის გადაცემაში. „ნანუკას შოუ“ „პრაიმშოუს“ მსგავსად საკითხზე ზერელე მიმოხილვით გამოირჩეოდა. სტუმრებისა და წამყვანის მსჯელობით კი აღმოჩნდა, რომ ტელევიზიებში დაბალი ხარისხის მუსიკის მოხვედრა მაყურებლის მოთხოვნაზეა დამოკიდებული. ასეთი დასკვნების შემდეგ ისმის კითხვა: თუ მაყურებელი მდარე ხარისხის მუსიკას ითხოვს და შოუებიც იძულებულნი არიან ამ ტენდენციას მხარი აუბან, მაშინ რა სჭიროა მუსიკალურ გემოვნებაზე გადაცემების გაკეთება და ყოველჯერზე იმის აღნიშვნა, რომ ისინი(წამყვანი, სტუმრები) საზოგადიების იმ ნაწილს არ მიეკუთვნებიან, რომლებიც უგემოვნო მუსიკას უსმენენ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას კი განათლება არ ჰყოფნის, კარგი და ცუდი გაარჩიოს. ეს სნობისტური დამოკიდებულება

საზოგადოების დაქსასვას და დაყოფვას უწყობს ხელს, რაც მუსიკის ფენომენს აუფასურებს.

- **ძირითადი ტენდენციები**

- სამაუწყებლო მედია სოციალურ ქსელებში პოპულარული არტისტებისა და თრეშკუტურისადმი სნობისტური დაომკიდებულებებით გამოირჩევა;
- სამაუწყებლო მედია თავს ვალდებულად თვლის საზოგადოებას გემოვნებიანი პოპმუსიკა გააცნოს;
- ქართული ტელევიზიები კიჩ არტისტების შემოქმედების პოპულარიზაციას ეწევიან;
- გადაცემებში მდარე ხარისხის მუსიკის ხშირი გაჟღერების ტენდენციას შოუს შემქნელები მაყურებლში ამ ტიპის პროდუქტის პოპულარობას უკავშირებენ;
- სამაუწყებლო მედია საზოგადოებას პოპმუსიკასთან მიმართებით ორ ნაწილად, გემოვნებიან და უგემოვნო მსმენელებად ჰყოფს;

2.2 სტერეოტიპიზაცია

იმის მიუხედავად, რომ მედიასაშუალებები უმრავლეს შემთხვევში ცდილობენ, გარკვეულ მასალებში სხვადასხვა სახის სტერეოტიპს თავი აარიდონ, ეს პრობლემა თავს მაინც იჩენს ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, თუ სტატიები ქალ არტისტებს შეეხებათ. 2017 წელს On.ge-მ ფესტივალ Tbilisi Open Air-ის პირველ დღეს ანალიტიკური მასალა მიუძღვნა. ღონისძიების ერთ-ერთი ჰედლაინერი სევდალიზა იყო. მუსიკოსი მისი მამაკაცი კოლეგებისგან განსხვავებით ჟურნალისტმა მხოლოდ გარეგნული კუთხით შეაფასა. აღგვიწერა შემსრულებლის სექსუალური იერსახე, მაგრამ ერთი სიტყვა არ დაუწერია არტისტის შემოქმედებასა და მის პროფესიონალიზმზე: „მოგვიანებით, Main Stage-ზე ირანული წარმოშობის ჰოლანდიელი მუსიკოსი, Sevdaliza გამოჩნდა, რომელმაც ბევრისგან მოულოდნელად

საოცარი სანახაობა შემოგვთავაზა. ეშხიანი და სექსუალური მომღერალი სცენაზე ექსტრავაგანტული კაბით გამოვიდა და სცენასთან შეკრებილი აუდიტორია მაშინვე მონუსხა. Sevdaliza სცენაზე მარველის კომიქსების გმირ შავ კატას მოგაგონებდათ, რომელიც თავისი ორიგინალური ცეკვითა და ეგზოტიკური იერით, ნამდვილი ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა“(სანაია, 2017). ამ მასალაში აშკარად იკვეთება სექსიზმის ნიშნები. აქცენტი გადატანილია ქალი არტისტის სტერეოტიპულ ხატსახეზე, რომლის მთავარი მოვალეობაც სცენაზე მხოლოდ ეროტიული მუხტის შემოტანაა.

ქალი მუსიკოსების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება გამოვლინდა At.ge-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალაში „ატონალი“ გზად და ხიდად: ქართველი მუსიკოსები Berlin Atonal-ზე“, რომელშიც ქალი შემსრულებლების ფესტივალის ლაინაფში მომრავლება ავტორმა გერმანიაში გააქტიურებულ ფემინისტურ მოძრაობას დაუკავშირა: „წლევანდელ ატონალზე მისი ისტორიის მანძილზე რეკორდული რაოდენობის ქალი გამომსვლელი იყო, რადგანაც გერმანელმა ფემინისტებმა ფესტივალს – ტუტუტუტ! – თითი დაუქნიეს, იმის გამო, რომ აქ ყოველთვის ძალიან ცოტა ქალი არტისტი უკრავდა. ფესტივალის ხელმძღვანელობამ შარს თავი მარტივად აარიდა და ქალ არტისტებს პრაქტიკულად კვოტები გამოუყო“(ბაგრატიონ-დავითაშვილი, 2018) - როდესაც ჟურნალისტი რაიმე მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობს, მას დასკვნებისთვის მყარი არგუმენტები ესაჭიროება. გაუგებარია ავტორმა, რატომ არ დაუშვა ის, რომ შესაძლოა ქალები ღონისძიებაზე მათი ნიჭისა და დამსახურების წყალობით მოხვდნენ და ეს ფემინისტური მოძრაობის შედეგი სრულაც არაა. ამ კითხვაზე პასუხს, სამწუხაროდ, ვერ გავიგებთ, რადგან ჟურნალისტმა ჩვენ მხოლოდ ცალმხრივი მიზეზი მოგვაწოდა და გაამყარა ქალების შესახებ პოპმუსიკაში დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც ისინი დიდ ფესტივალებზე მხოლოდ ქვოტების საშუალებით ხვდებიან.

მუსიკის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში ასევე ვხვდებით ამა თუ იმ ჟანრზე სტერეოტიპული შეხედულებების გავრცელების მაგალითებსაც. კვლევაში შესული მედიასშუალებების უმრავლესობა პოპმუსიკასთან მიმართებით ექსპერიმენტულ მუსიკას გემოვნების სტანდარტად მიიჩნევს და თუ არტისტი ამ მიმდინარეობაში მოღვაწეობს ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ მისი შემოქმედება ფასეულია. ამ პრობლემამ ყველაზე ხშირად თავი On.g-ს მასალებში იჩინა. 2017 წელს „სოუ ფესტივალის“ მიმოხილვისას ჟურნალისტმა დაწერა: „პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ SOU 2017-ზე მონაწილეობას იღებს უამრავი მუსიკოსი, რომლებიც ჟანრობრივად ტრენდული მუსიკალური ინდუსტრიის ტიპურ წარმომადგენლებს არ ჰგვანან. მათი შემოქმედება სამ ან ხუთწუთიანი კომპოზიციებით არ შემოიფარგლება. მონაწილეების უმრავლესობას ძალიან მრავალფეროვანი, სხვადასხვა მუსიკალური ეფექტებით გაჯერებული, ინტელექტუალური კომპოზიციები აქვთ. მომაჯადოებელ მუსიკას კი ხშირ შემთხვევაში საინტერესო, ენერგიული და მომნუსხველი ვიზუალური გაფორმება ახლავს თან“(სანაია, 2017) - აქ კონკრეტული არტისტების ინდივიდუალურ ხელწერაზე არაფერია ნათქვამი, ავტორი მხოლოდ ჟანრის ირგვლივ შექმნილი სტერეოტიპული შეხედულებით მსჯელობს, რაც გაუმართლებელია.

სტერეოტიპიზაციის შემთხვევებს ვხვდებით Popmusic.ge-შიც, რომელშიც ავტორებს ერთი კონკრეტული ჟანრისთვის გარკვეული ჩარჩოებს დაწესება უყვართ. მაგალითად, ჰიპ ჰოპში ავტორების უმრავლესობა თვლის, რომ ამ მუსიკალური სივრცის წარმომადგენლებმა მხოლოდ სოციალურ თემატიკაზე უნდა ისაუბრონ, რაც თანამედროვე ეპოქის გამოწვევებთან შეუსაბამოა და არტისტის თვითგამოხტვის თავისუფლებას ზღუდავს. მუსიკის კრიტიკოსი გია ხადური სტატიაში „გია ხადური: ცნობილი მუსიკოსების 10+1 უვარგისი ჰიტი“ 2Pac-ის კომპოზიცია California Love-ზე წერს: „ამ ტრეკმა ხაზი გადაუსვა ყველაფერ იმას, რასაც ჰიპ ჰოპი ქადაგებს და რაც მის კოზირს წარმოადგენს. არანაირი უკომპრომისობა, დაპირისპირება, კონტრკულტურული დისკურსი აქ არ არის. ყველაფერი გაბანალურებულია და ყურის საამებლადაა გაკეთებული, თეთრკანიანი აუდიტორიისა და ქერა ნაშების

დასაგოიმებლად. ეს არცაა გასაკვირი. ამით შავი რეპერები მთელ სამყაროს უმტკიცებდნენ, რომ მათაც შესწევთ უნარი, ისეთივე წარმატებული, პოპულარული და მდიდარი სექსსიმბოლოები ყოფილიყვნენ, როგორიც თეთრი პოპ თუ როკ ვარსკვლავები იყვნენ. 90-იანების ჰიპ ჰოპმა სწორედ ასეთი გამოწვევის წინაშე დააყენა საკუთარი თავი, თუფაქი კი ამ მოძრაობის ავანგარდში აღმოჩნდა“(ხადური, 2018).

სტერეოტიპიზაციას გვერდს ვერც მუსიკალური შოუები უვლიან. „საზოგადოებრივი მაუწყებელზე“ გადაცემაში „საქართველოს ვარსკვლავი“, რომლის გამარჯვებულმაც „ევროვიზიის“ საგზური მოიგო, მოინიშნა მუსიკის საშუალებით ფსევდოპატრიოტული იდეების გავრცელების შემთხვევები.

შოუში, იმის მიუხედავად, რომ კონკურსანტებმა ინგლისურენოვანი სიმღერებიც შეასრულეს, კომპეტენტურმა ჟიურიმ „ევროვიზიისთვის“ არჩევანი მხოლოდ ქართულენოვან ტრეკებზე შეაჩერა. გამარჯვებული ნამუშევარი „სულ წინ იარე გახდა“, რომელიც რუსეთის ოკუპაციას მიეძღვნა. ამ სიმღერის შეფასებისას თავი იჩინა ფსევდოპატრიოტულმა შეხედულებებმა. კონკურსანტებმა ოთო ნემსაძემ, გიორგი ნაკაშიძემ, ჟიურის წევრებმა და თავად ნამუშევრის ავტორმა რომა გიორგაძემ აღნიშნეს, რომ ევროპამ „ქართული სული, მუხტი“ უნდა შეიგრძნობს და ევროვიზია ესაა პლატფორმა, რომლის დახმარებითაც დასავლეთს ტერიტორიული მთლიანობასთან დაკავშირებული ჩვენი პრობლემები უნდა გავაცნოთ. „დიახ, მავთულები არის ჩვენი ქვეყნის მესიჯი“, - აღნიშნა თინათინ ბერძენიშვილმა ოთო ნემსაძის პერფორმანსის შეფასების დროს. ფსევდოპატრიოტულმა აღტკინებებმა კონკურსი გააუფასურა და საშუალება არ მისცა მაყურებელს სხვადასხვა ენასა და თემატიკაზე შექმნილი სიმღერებიდან გაეკეთებინა არჩევანი, რამაც შიდაშესარჩევ ტურში მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნებაზე გაკეთებულმა აქცენტები ჩრდილში მოაქცია.

ფსევდოპატრიოტული აღტკინება „რუსთავი 2“-ის ამბიციურ პროექტში „მხოლოდ ქართულშიც“ ნათლად გამოიკვეთა. შოუს შემქნელებმა მიზანად ქართული სიმღერის

პოპულარიზაციაა დაისახეს და კონკურსის ორი სეზონის განმავლობაში პროდუსერებმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს თითქოს ქართული მუსიკა საფრთხეშია და ამ სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება სწორედ ეს ტელეშოუა. ამ პათეტიკური პატრიოტული განწყობის ნათელი გამოხატულება იყო ჟიურის წევრის, გიორგი გაბუნიას წინადადება. მან პირველ ლაივ კონკურსზე ქართულ მუსიკას პატივი ამ სიტყვებით მიაგო: „მინდა ფეხზე ავდგე და თაყვანი ვცე ამ მუსიკას“(მხოლოდ ქართული, 2018).

შოუს შემქმნელების პოზიციას იზიარებდა თავად ჟიურის სრული შემადგენლობაც, რომელიც კონკურსანტებისგან ქართული მუსიკისადმი განსაკუთრებულ და ხშირად პათეტიკურ დამოკიდებულებას მოითხოვდა. ერთ-ერთ კონკურსანტს ჰკითხა კიდეც ჟიურის წევრმა მარინა ბერიძემ. „უბრალოდ კონკურსისთვის მოხვედი თუ ქართული სიმღერა გტკივა?“(მხოლოდ ქართული, 2018)

შოუში ასევე გამოიკვეთა დასავლური მუსიკისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულების მაგალითებიც. შიდაშესარჩევ ტურზე ერთ-ერთი კონკურსანტის შესრულების განსხვავებული მანერა ჟიურის წევრმა სოფო ნიჟარაძე დასავლურ მუსიკალურ სივრცეს დაუკავშირა: „ძალიან განიცდის დასავლური კულტურის გავლენებს, როგორ არტიკულირებს“. შეფასებას კი გიორგი უშიკიშვილი ამ ფრაზით გამოეხმაურა: „ხომ მარა, ჩვენი პროექტი ხომ მაგისთვის არის, რომ ქართული კულტურისკენ წამოვიყვანოთ“(მხოლოდ ქართული, 2018) - მსგავსი დასკვნები საზოგადოებაში არასწორ შეხედულებებს აჩენს, თოთქოს დასავლური და ქართული კულტურა ორი სრულიად სხვადასხვა ფენომენია. ეს კი მაყურებლის პატრიოტულ გრძნობებზე თამაშის ნათელი გამოვლინებაა.

საინტერესოა თავად გადაცემის მუსიკალური მხარეც. შოუში, უმრავლეს შემთხვევაში, საბჭოთა კავშირში შექმნილი სიმღერები გაჟღერდა. 90-იანი წლების ალტერნატიული მუსიკიდან კი დრო მხოლოდ ირაკლი ჩარკვიანის კომპოზიციებს დაეთმო. ეს კი ნათლად აჩვენებს შოუს შემქმნელების არასწორ დამოკიდებულებას

ქართულ მუსიკისადმი, რომელიც თავისი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და გადაცემაში ერთ კონკრეტულ მიმართულებასა და ეპოქაზე ყურადღების გამახვილება, ვფიქრობთ, არამართებულია.

ქართული მუსიკის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად ასევე კიდევ ერთი გადაცემა „აკუსტიკა“, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის: „მხოლოდ ქართულისგან განსხვავებით, გადაცემამ დრო არათუ სხვა და სხვა ჟანრში მოვაწე ქართველ არტისტებს დაუთმო, არამედ ისინი ენის მხრივაც არ შეზღუდა და საზოგადოებას არ შეუქმნა სტერეოტიპული აზრი, თითქოს ქართველმა მხოლოდ ქართულად უნდა იმღეროს.

„აკუსტიკა“ დღეს ქართულ ტელესივრცეში, ერთადერთი მუსიკალური პროექტია, რომელიც ახერხებს მაყურებელს სხვადასხვა გემოვნებიანი მუსიკალური ექსპერიმენტი შესთავაზოს. ის ქართველ არტისტებს საშუალებას აძლევს, მაყურებლამდე თავიანთი შემოქმედება დახვეწილი ვიზუალითა და კარგი ჟღერადობით მიიტანონ. გადაცემა დაცლილია ფსევდოპატრიოტული განწყობებისგან და მთლიანად არტისტების შემოქმედების განხილვაზეა ორიენტირებული. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომელსაც კანონი ავალდებულებს მაყურებელს გემოვნებიანი პროდუქტი შესთავაზოს, ამ გადაცემით თავის მოვალეობას უდავოდ ასრულებს. „აკუსტიკა“ ნამდვილად უწყობს ხელს ქართული მუსიკის პოპულარიზაციას(ონლაინ მედიაში კი Popmusic.ge) და ამას მაღალი სტანდარტებით აღწევს.

- **ძირითადი ტენდენციები:**

- On.ge-სა და At.ge-ში ავტორებისგან ქალი არტისტებისადმი სექსისტური დამოკიდებულებები შეინიშნება, გამოცემები ორ სტერეოტიპს - ქალებმა პოპმუსიკაში მხოლოდ სექსუალური ენერეტიკა უნდა შემოიტანონ და მათ ფესტივალების ლაინაფებში მოხვედრა მოლოდ ქვოტირების დაწესებით შეუძლიათ, ავრცელებენ;

- Popmusic.ge სხვადასხვა მუსკალურ ჟანრს კონკრეტულ ფუნქციებსა და იდეურ ნარატივს უწესებს;
- სამაუწყებლო მედია საზოგადოებაში ფსევდოპატრიოტულ სტერეოტიებს ავრცელებ კონკრტულად:
    - ✓ ქართველმა არტისტებმა ქართულად უნდა იმღერონ;
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ - ევროპელებს რუსული ოკუპაცია პოპმუსიკის საშუალებით უნდა გავაცნოთ;
- სამაუწყებლო მედია დასავლურ პოპმუსიკის შესახებ სტერეოტიპების გავრცელებას ხელს უწყობს;

2.3. პროფესიული ენა

მუსიკის ჟურნალისტიკა ქართული მედიასივრცისთვის ახალი ხილია. ამიტომ პოპმუსიკაზე წერის დროს ჟუნალისტები ხშირად არაერთ სტილურ და გრამატიკულ შეცდომებს უშვებენ. ყველაზე პრობლემატური კი სპეციფიკური ტერმინების ქართული შესატყვისების არარსებობაა, ამიტომ, ავტორებს საკუთარი ინტერპრეტაციით უწევთ ამა თუ იმ ტერმინის გადმოქართულება.

On.ge-მ პოპულარული მუსიკის ერთ-ერთი მიმართულება „ემბიენთი“ რამდენჯერმე არასწორად „ამბიენტად“ მოიხსენია. რადგან ჟანრის სახელწოდება ინგლისური სიტყვიდან Ambient მომდინარეობს ის გამართულად - „ემბიენთი“ უნდ დავწეროთ. ამ მხრივ Popmusic.ge ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელიც მუსიკალურ ტერმინებს ყოველთვის მართებულად ხმარობს.

გამოცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მუსიკაზე წერისას ავტორებს ჰგონიათ, რომ მხატვრული ხერხებით დატვირთული, რთული წინადადებების გამოყენებით, მეტად რელევანტურია მუსიკალური მოვლენის შეფასება, არადა, ხშირად ეს მკითხველში დაბნეულობას იწვევს და ორაზროვანი დასკვნების გამოტანის საფრთხეს აჩენს. მაგალითად, „2011 წლისათვის ტეტემ აქტიურად დაიწყო ამბიენტ მუსიკაში

ექსპერიმენტირება. 2013 წელს ლეიბლზე Withering Trees მისი EP The Last is The Sweeter გამოვიდა. მას შემდეგ მისი ნამუშევრები საველე ჩანაწერების კოლაჟურ გადამუშავებებზე იგება, ნოიზის, ალეატორიკისა და სხვა ექსპერიმენტული მუსიკის ნარატივში"(On.gege, 2017) - საველე ჩანაწერების კოლაჟურ გადამუშავება - მსგავსი რთული წინადადება, არათუ ჩვეულებრივი მკითხველისთვის, არამედ თავად მუსიკის მოყარულისთვისაც ძნელად აღსაქმელია.

გამოცემაში ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტორები მუსიკალური ნამუშევრის შეფასებისას და მისი სტრუქტურის აღწერისას, საკუთარ იდეებში თავადვე იკარგებიან და შესაბამისად, მასალიდან დასკვნის გამოტანა ძალზედ ჭირს. მაგალითად, ჯეიმს ბლეიქის ახალ სიმღერაზე Don't Miss It დაწერილ მასალაში ვკითხულობთ: „სიმღერის შესაქმნელად, რომელიც პიანოს მელოდიით იწყება, ბლეიქისა და ინგლისის ელექტრონული დუეტის Mount Kimbie-ის კოლაბორაცია შედგა. სიმღერაში ოპერისა და სევდიანი ვოკალის ეფექტები ერთმანეთშია შერწყმული, ხანდახან კი, თითქოს სადღაც გარბის. Don't miss It მეორე სოლო სიმღერაა 2016 წლის ალბომის, The Colour In Everything-ის, შემდეგ"(On.ge, 2018) - აქ ავტორის არაპროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე, როგორც ჩანს, ის ვერ ერკვევა სხვადასხვა ჟანრის მუსიკის სპეციფიკაში, რადგან ინგლისელმა მომღერალმა კომპოზიციაში მაღალ რეგისტრში შესრულებული ვოკალი გამოიყენა, ამ დეტალის ოპერასთან დაკავშირება გაუმართლებელია. მსგავსი ტექნიკა კი პოპულარულ მუსიკაში ხშირად გვხვდება. არასწორი შეფასების გარდა თავად ტექსტის სტრუქტურა ბუნდოვანია და ავტორის სათქმელის სრულად აღქმის საშუალებას არ იძლევა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ On.ge მასალებში ააქტიურად იყენებს ინგლისურ დასახელებებს. ეს შესაძლოა გამართლებულიც იყოს, რადგან ხშირად ქართული შესატყვისების მოძებნა რთულია, მაგრამ როდესაც უცხოური დასახელებები ერთი-ერთში გადმოგვაქვს, ისინი გასაგებად უნდა დავწეროთ, განვმარტოთ და მკითხველს არ უნდა გაუჩნდეს გაურკვევლობის გრძნობა. გამოცემამ სტატიაში „Youtube-ის

ვიდეოები, რომელთაც მომხმარებლებისგან ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურეს“ ხშირად გამოიყენა Billboard Hot 100, Canadian Hot 100, რადგან მასალა ყველა ტიპის მკითხვეზეა გათვლილი, შესაძლოა არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც ამ კონკრეტული ჩარტების შესახებ ინფორმაცია საერთაოდ არ ჰქონდეთ, შესაბამისად, საჭიროა ავტორმა განმარტოს, რა არის „ბილბორდის ცხელი 100-ლი“ და რა სპეციფიკა გააჩნია მას. ეს მკითხველს არამარტო მეტ ინფორმაციას მისცემს, არამედ სტატიის ღირებულებასაც ორმაგად აამაღლებს.

- **ძირითადი ტენდენციები**

- ქართულ მედიაში ხშირია მუსიკალური ტერმინების არასწორად გამოყენების შემთხვევები;
- ჟურნალისტებს ჰგონიათ, რომ მუსიკალური ნამუშევრების შეფასების დროს აუცილებელია მხატვრული ხერხების გამოყენება - ეს კი ნაწერიდან აზრის გამოტანას ართულებს;
- შეინიშნება ავტორების მხრიდან ამა თუ იმ ჟანრის სპეციფიკის არ ცოდნის ტენდენცია;

თავი 3. თეორიული ჩაროს მიმართება კვლევის ობიექტებთან

„გამოყენების და კმაყოფილების თეორიის“ დახმარებით ჩვენ შევძელით აგვეხსნა მედიის მომხმარებლებისა და მედიაარხების ურთიერთკავშირი პოპულარულ მუსიკასთან მიმართებით. ქართული მედიის მიერ აქცენტის გამახვილება მხოლოდ რამდენიმე არტისტზე პალმგრინის, ვენერისა და როსენგრენის პროპოზიციის თანახმად, „აქტიური აუდიტორიის“ დამსახურებაა, რადგან მკითხველებისგან წამოსული უკუკავშირი(გაზიარებების, მოწონებებისა და გამოცემების სტატიებზე კომენტარების რაოდენობა) აიძულებს მედიაარხებს ამ მუსიკოსების შესახებ მეტი მასალა განათავსონ.

„გამოყენების და კმაყოფილების თეორიის“ მიხედვით, მედიის ხასიათი და სტრუქტურა ზღუდავს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პატერნს, ეს კი ქართულ გამოცემებსა და ტელევიზიებში მედიაკონტენზე თემების შერჩევის ლიმიტში აისახება. მაგალითისათვის დასავლურ მედიაში(ქართული გამოცემები პოპმუსიკის სიახლეებს ძირითადად იღებენ გამოცემებიდან: nme.com, rollingstone.com, pitchfork.com. stereogum.com, spin.com.) ერთი კვირის განმავლობაში, თუ მასალების დიდი რაოდენობა პოპმუსიკაში „ლგბტ“ თემის უფლებების რეცეფციას და გენდერულ საკითხებს შეეხება, ქართული მედია ამ საკითხების ირგვლივ საზოგადოებაში არსებული ინტერესების გათვალისწინებით, პრიორიტეტს მხოლოდ ყველაზე აქტუალურ თემაზე აკეთებს. ამ შემთხვევაში უპირატესობა სექსუალური უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებს ენიჭებათ.

როგორც დეფლერი წერს, მოთხოვნილებები უბიძგებს ადამიანს, მონახოს ისეთი მედიასაშიალება, რომელიც დაუკმაყოფილებს სურვილებს, მედიარხებმა კი ამ კმაყოფილების მაჩვენელის შენარჩუნება მომხმარებლისთვის სწორედ შესაბამის კონტენტის მიწოდებით უნდა შეძლონ. ეს თეორიული ჩარჩო განსაკუთრებით ეფექტური სამაუწყებლო მედიასთან მიმართებითაა. კვლევის განმავლობაში ორმა ნაციონალურმა მაუწყებელმა - „იმედმა“ და „რუსთავი 2“-მა მაყურებლებს მუსიკალური გემოვნების შესახებ გადაცემები აქტიურად შესთავაზა, „გამოყენების და კმაყოფილების თეორიის“ მიხედვით კი პროდუქტის მიწოდების პროცესში მისი განმეორების მახასიათებელი სწორედ მოთხოვნის მაჩვენებლის ცვალებადობაზეა დამოკიდებული, ეს კავშირი მოკლედ მსგავსი სტრუქტურის საშუალებით შეგვიძლია ავხსნათ:



„პოპკულტურაზე დამოკიდებულების თეორიის თანახმად“, ვინაიდან მედიასაშუალებები კაპიტალიზმის წესებს ემორჩილებიან, მათი მთავარი მოტივატორი სწორედ მოგებაა. პოპკულტურის ნებისმიერ ფორმაზე ყურადღების გამახვილება კი ეკონომიკური ფაქტორების დამსახურებაა. როგორც მკვლევარი დუგლას ჰინდმენი აღნიშნავს, მედიის დღის წესრიგში პოპკულტურიდან შემოსული ღირებულებების ასახვა არამარტო მერკანტელისტური ფაქტორებითაა განპირობებული, არამედ თავად ამ თეორიის შედარებით შეუსწავლელი ფსიქოლოგიური ფაქტორებითაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მუდმივად აქვს მოთხოვნა, გაერთოს ან მედიისგან მიიღოს ისეთი კონტენტი, რომელიც მას განტვირთავს. სწორედ ეს სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები განაპირობებენ ქათულ მედიაში ყვითელი თემების სიჭარბეს. გარდა ამისა, ვინაიდან „პოპკულტურაზე დამოკიდებულების თეორიის“ თანახმად, მედიასაშუალებებში ღირებულებების რეცეფციის დროს ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელობა სოციუმში არსებულ აქტუალურ თემებსა და პრობლემებსაც ენიჭება, გასაგებია, რატომაა დასავლური პოპმუსიკიდან ქართულ მედიაში სრულიად, ანალიზის გარეშე, გაზიარებული გენდერული და ანტიჰომოფობიური თემები. ეს თავად ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ რაკურსში ამ საკითხების სიმწვავითაა

განპირობებული. სწორედ აქ ჩვენ მიერ გამოყენებული თეორიული ჩარჩოების თანხვედრას ვაწყდებით და მსოფლიო პოპმუსიკიდან იდეური და ღირებულებითი სისტემების გაზიარების პროცესის მედიაში ასახვას, კვლევიდან გამომდინარე, ვუკავშირებთ სამ ფაქტორს:

1) საზოგადოებაში ამ თემების აქტუალურობას;

2) მედიაორგანიზაციების პროპაგანდისტულ ფუნქციას, საზოგადოებრივ განწყობას შეუსაბამოს, ან დაუპირისპიროს მისი სარედაქციო პოლიტიკა და იდეური ღირებულებითი სისტემა;

3) ფეხი აუწყოს მსოფლიო ტენდენციებს (აქ თანაკვეთას ვხედავთ პოპულარული მუსიკისა და გლობალისტურ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ რაკურსთან) .

„პოპკულტურაზე დამოკიდებულების თეორია“ ასევე დაგვეხმარა, აგვეხსნა ქართული მაუწყებლების მიერ პოპმუსიკაში ასრებული კიჩგმირების პროპაგანდის ტენდენციაც. როგორც მელვინ დეფლერი წერს, მედია კიჩს მოგების გასაზრდელად ავრცელებს, შესაბამისად, ეს მხოლოდ ქართული მაუწყებლებისთვის არაა დამახასიათებელი და თავად მედიის კაპიტალისტური ბუნებითაა განპირობებული.

დასკვნა

კვლევის შედეგების თანახმად, დასტურდება მხოლოდ ერთი ჰიპოთეზა. კონტენტ-ანალიზის, კლიპინგის ტექნიკით დადგინდა, რომ ქართული მედია კვალიფიციურად არ აშუქებს მსოფლიო პოპმუსიკის ძირითად ტენდენციებს. კვლევაში შემავალი გამოცემები მხოლოდ ზედაპირული ანალიზით შემოიფარგლებიან. თანამედროვე მუსიკაში ნოვაციები მათთვის არარელევატურია, რაც პოპმუსიკის ფენომენს სრულყოფილად გააზრებას ართულბეს. ქართულ მედიაში სრულად გაზიარებულია პოპმუსიკის ანტიჰომოფობიური განწყობა, ქალი არტისტების მნიშვნელობის გამოკვეთა. თუმცა, მის მთავარ ღირებულებასთან, გლობალისტურ ნარატივთან, ჩვენი ნაციონალური ტელევიზიები სრულ წინააღმდეგობაში მოდიან. ისინი პირიქით, საზოგადოების პატრიოტულ გრძნობებზე აპელირებენ და ფსევდოპატრიოტული იდეების გავრცელებას უწყობენ ხელს.

ქართული მედიაარხები ორიენტირებულები არიან მოვლენის სიმპტომურ გაშუქებაზე და სიღმისეულად პრობლემის არსის კვლევას არ ცდილობენ. ამას თავად რაოდენობრივი მონაცემებიც ადასტურებს, 4,304 მასალიდან მხოლოდ 163 აღმოჩნდა ანალიტიკური. ამ მხრივ ყველაზე მწვავე პრობლემა სამაუწყებლო მედიაშია, რომელიც მუსიკასთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ რეიტინგის ასამაღლებლად იყენებს და ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებს ერთი და იმავე რესპოდენტებთან ერთად განიხილავს. რაც მაყურებელს მრავალფეროვანი შეხედულებების მიღების შესაძლებლობებს უზღუდავს. მიუხედავად ამისა, ქართულ ონლაინმედიაში არსებობს გამოცემა, რომელიც ცდილობს მუსიკის ანალიზსა და მათ სიღმისეულ კვლევას. მაგალითად, Popmusic.ge, რომელიც მკითხველს ძირითადად დასავლური პოპმუსიკის სისტემატიურ ანალიზს სთავაზობს. აქ ასევე ვხვდებით ქართული მუსიკალური პროდუქციის პროფესიონალური შეფასების შემთხვევებსაც. ანალიტიკური მასალების სიმცირის მიუხედავად, არგუმენტირებულად დაწერილი რეცენზიები, საავტორო სტატიები და შემაჯამებელი სიები საიტის მომხმარებლებს პოპმუსიკის განვითარების,

მისი წარსულისა და მომავლის შესახებ გარკვეულ წარმოდგენებს უქმნის. Popmusic.ge-ს მცდელობის მიუხედავად, მედიაში ზოგადი ფონი არსებითად არ იცვლება და პოპულარულ მუსიკის კრიტიკული ანალიზი კვლავაც მწვავე პრობლემად რჩება.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართული მედია პოპმუსიკის გაშუქებისას ძირითადად სოციალური საკითხებით ინტერესდება. მედიასაშუალებები პოპულარული არტისტების შემოქმედების განხილვისას, ყურადღებას ყოველთვის აქცევენ საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების მუსიკაში ასახვას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ჰიპ ჰოპის ფენომენზე დაკვირვებისა და ქართველი არტისტები მოღვაწეობის მიმოხილვის დროს იჩენს თავს. ამ მოვლენის მიზეზები კი „გამოყენების და კმაყოფილების თეორიის“ მიხედვით, აქტიური აუდიტორიის მახასიათებლებში უნდა ვეძებოთ. ქართული მედიასაშუალებები ასევე დროს ხშირად უთმობენ „ლგბტ“ თემის უფლებების პროპაგანდას. ეს კი დასავლური პოპულარული მუსიკის ღირებულებების ქართულ რეალობაში რეცეფციის ნათელი მაგალითია.

პოპმუსიკის საშუალებით სოციალურ-პოლიტიკური თემების განხილვა ქართული მედიისთვის ყველაზე აქტუალური რუსულ ოკუპაციასთან მიმართებითაა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული პრობლემები, ბორდერიზაცია, რუსული რბილი ძალის გავლენები ქართულ მედიაში, პოპულარული მუსიკის განხილვის დროსაც იჩენს თავს. ქართული მედია დროულად რეაგირებს ქართველი არტსიტების მიერ რუსეთში გამართულ კონცერტებზე, ოკუპაციური რეჟიმისადმი მათ ლოიალურ დამოკიდებულებებზე. განსაკუთრებით, კრიტიკული ამ მხრივ ონლაინმედიაა. ტელევიზიებში კი რუსეთისადმი კეთილგანწყობილი არტისტების შემოქმედის განხილვისას ორმაგ სტანდარტსაც ვხვდებით. რუსულ ოკუპაციაზე მსჯელობისას გადაცემების წამყვანების ზედაპირული შეხედულებებისა და სტუმრების პრორუსული განცხადებების წყალობით, ხშირად ეს შოუები მაყურებელში პრობლემის სიმწვავის გამოკვეთის ნაცვლად, მტერი სახელმწიფოს ჰიბრიდული ომის წისქვილზე ასხამენ წყალს, რადგან ხშირად გაიელვებს ხოლმე მოწოდებები, რომ

პოპულარულ მუსიკასა და კულტურას პოლიტიკასთან არაფერი ესაქმება. - ეს კი რუსული რბილი ძალის კლასიკური ნარატივია. ამის მიუხედავად, კვლევამ აჩვენა, რომ რუსული ოკუპაციისა და პოპულარული მუსიკის ურთიერთმიმართების გაშუქების დროს ანტირუსულ განწყობებსაც ვხვდებით. ეს ისეთ უწყინარ თემებზე მომზადებულ მასალებშიც კი შეიმჩნევა, როგორიც მაგალითად „საბავშვო ევროვიზიაა“. მსგავსი ტენდენცია კი, ჟურნალისტური სტანდარტების გათვალისწინებით აარამართებულია.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ქართულმა მედიასაშუალებებმა აქტიურად გააშუქეს დასავლელი არტისტების სოციალური აქტივობები, მათი პოლიტიკური შეხედულებები. დრო ასევე დაეთმო ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებსაც. წარმოჩინდა მუსიკის როლი რევოლუციური განწყობის შემქნელის, ერთიანი, თანასწორი და ჰუმანური სამყაროს ჩამოყალიბების პროცესშიც. ეს კი ნათლად ადასტურებს, რომ გამოცემები და მაუწყებლები არტისტებისა და თავად პოპმუსიკის იდეოლოგიური და ღირებულებითი ორიენტირებითაც ხშირად ინტერესდებიან.

კვლევის შედეგების თანახმად, დასტურდება ასევე ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც პოპმუსიკის გაშუქებისას აისახება საქართველოში მიმდინარე საპროტესტო მოძრაობების სულისკვეთება. ეს განსაკუთრებით ნათლად „ბასიანისა“ და კაფე „გალერეაში“ მოწყობილი რეიდის შემდეგ გამოიკვეთა. ქართულმა მედიამ საზოგადოებას მოვლენების სრული ქრონოლოგიური განვითარება შესთავაზა. Popmusic.ge-მ, საპროტესტო მოძრაობების სოციალური სულისკვეთების სრულად წარმოჩენა შეძლო. ეს თანხვედრაში აღმოჩნდა მსოფლიო მედიასთანაც. არაერთმა ცნობილმა გამოცემამ რუსთაველზე მიმდინარე რეივს ისტორიული მოვლენა უწოდა. ამ აქციებმა და მედიისივრცეში მისმა რეცეფციამ დაგვანახა, რომ ქართულ მედიაარხებს აქვთ პოტენციალი, პოპმუსიკაში მიმდინარე პროცესები და მოძრაობები სოციალურ-კულტურულ ასპექტშიც განიხილონ და მას მეტი ღირებულება შემატონ.

„პოპკულტურაზე აუდიტორიისა და მედიის დამოკიდებულების თეორიის“ მიხედვით კი, მასმედიის საშუალებების მხრიდან მოვლენების ღირებულებითი მასშტაბების პრიზმაში განხილვა პოპკულტურის სოციალური მახასიათებლების შედეგია, რადგან ეს ფენომენი ჩვენი ადამიანების ცხოვრების ანარეკლია.

სოციალურ-კულტურული ღირებულებების გარდა, კვლევის ფარგლებში, დავინტერესდით ქართულ მედიაში პოპულარული მუსიკოს სხვადასხვა ჟანრობრივი სეგმენტების ასახვის ტენდენციითაც. კვლევის თანახმად, ონლაინგამოცემები ძირითადად ორიენტირებულები არიან ისეთ მეინსტრიმ არტისტებზე, რომელებიც დღეს პოპმუსიკის მიმართულებას განსაზღვრავენ(ბიონსე, ლედი გაგა, ჯეი ზე და ა.შ). მათზე აქტიურად წერენ დასავლური გავლენიანი მუსიკალური გამოცემები, შესაბამისად, ქართული ონლაინმედიაც სწორედ ამ აკუსტიკური სივრცის პოპულარიზაციას ეწევა. სამაუწყებლო მედიაში გასული პოპულარული გადაცემათა უმრავლესობა დროს ქართულ ე.წ ფანოღს, თრეშმუსიკას და კიჩ გმირებს უთმობს. თუმცა, არსებობს გამონაკლისიც „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ პროექტ „აკუსტიკას“ სახით, რომელიც ქართული გემოვნებიანი მუსიკის პოპულარიზაციას ეწევა და ამ მიზანს ის დახვეწილი აუდიო-ვიზუალური საშუალებებით ახერხებს.

ჩატარებულმა კვლევამ, პოპულარული მუსიკის გაშუქების დროს, სხვადასხვა სტერეოტიპის გავრცელების შემთხვევები გამოავლინა. აღსანიშნავია, რომ ეს სტერეოტიპები გვხვდება ისეთ მასალებშიც, რომლებიც რედაქტირებას გადიან, შესაბამისად, სტერეოტიპული მოსაზრებებისა და დასკვნების სისტემური გამეორება გვაფიქრებინებს, რომ ხშირად სტერეოტიპები მიზანმიმართულად, ყოველგვარი შემთხვევითობის გარეშე ვრცელდება.

პოპმუსიკის გაშუქების დროს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა გაუმართავი პროფესიული ენაა. ჟურნალისტები ხშირად მუსიკალურ ტერმინებს არასწორად იყენებენ. სხვადასხვა ჟანრის სპეციფიკის არცოდნის გამო კი, მუსიკალური პროდუქციის შეფასების დროს, იპარება არარელევანტური მოსაზრებები, რაც

მკითხველს პოპულარულ მუსიკაზე მცდარი დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს.

კვლევის მიზნები:

- ქართული მედიაარხები პოპმუსიკის სოციალურ გზავნილებით ინტერსდებიან;
- ქართული მედია „ლგბტ“ თემი უფლებების პროპაგანდას ეწევა, დასავლურ პოპმუსიკის ანტიჰომოფობიურ პათოსს სრულად იზიარებს, რაც საზოგადოებაში ამ ჯგუფის ირგვლივ შექმნილი სტერეოტიპების ნგრევას ხელს უწყობს;
- ქართული მედია ქართველი მუსიკოსების პოლიტიკურ იდეოლოგიურ ღირებულებებს ეჭქვეშ აყენებენ;
- ელექტრონული მუსიკა და ნარკოპოლიტიკა ქართულ მედიასაშუალებებში თავისუფლების სიმბოლოებად იქცა;
- ქართული სამაუწყებლო მედია პოპულარული მუსიკის გლობალისტურ იდეებთან წინააღმდეგობაშია;
- Popmusic.ge მარიხუანას პოპულარიზაციას ღიად ეწევა და მას „ღვთაებრივ მცენარედ“ მოიხსენიებს. ვფიქრობთ დაუშვებელია ცხოვრების არაჯანსაღი წესის წახალისება და ნარკოტიკების რომანტიზების ტენდენცია;
- გენდერული საკითხების შესახებ შექმნილი მუსიკალური ნამუშევრები ქართული მედიის დიდ ინტერესს იწვევს;
- ქართული მედია ძირითადად ორიენტირებულია დასავლურ პოპმუსიკაზე;
- ყველაზე მწვავე პრობლემა ანალიტიკური მასალების სიმცირე და მუსიკალური მოვლენების ზედაპირული გაშუქების ტენდენციაა;
- სამაუწყებლო მედია მუსიკასთან მიმართებით მაყურებლის პატრიოტულ გრძნობებზე აპელირებს და ფსევდოპატრიოტული იდეების გავრცელებას ხელს უწყობს;

- ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართული მედიასაშუალებები პოპმუსიკის შესახებ მომზადებულ მასალებში სტერეოტიპების გამყარებას ცდილობენ;
- პროფესიული ენა გაუმართავია;
- ქართული მედიასაშულებები პოპმუსიკაში მიმდინარე მოვლენებს ფეხს სწრაფად უწყობენ;
- ხშირია ნათარგმნი მასალების გამოყენების შემთხვევები;
- ქართული მედია რუსული პოპმუსიკისადმი კრიტიკულობით გამოირჩევა;
- ქართულ მედიაში პოპმუსიკა რუსულ ოკუპაციასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებადაა წარმოჩენილი;

რეკომენდაციები

ჩვენი რეკომენდაციები ონლაინგამოცემებსა და ტელევიზიებში მასალების ემპირიულ ანალიზს ეყრდნობა.

- გამოცემებმა და ტელევიზიებმა პოპმუსიკასთან დაკავშირებული თემები სიღმისეულად უნდა გააშუქონ;
- გამოცემებმა და ტელევიზიებმა სასურველია დაიცვან გენდერული ბალანსი;
- დასავლურ პოპმუსიკაში წარმოშობილი ღირებულებები ქართულმა მედიამ სასურველია ანალიზისა და განსჯის გარეშე, მხოლოდ ზედაპირულად არ გააშუქოს;
- პოპმუსიკაში მიმდინარე მოვლენების შეფასების დროს გამოტანილი დასკვნები მყარ არგუმენტებს უნდა ეფუძნებოდეს;
- მედიასაშუალებები მაყურებლებისა და მკითხველების პატრიოტულ გრძნობებზე არ უნდა თამაშობდნენ;
- მედიაარხებმა სტერეოტიპების გავრცელებას ხელი არ უნდა შეუწყონ;

გამოყენებული ლიტერატურა

1. დეფლორი, მ., დენისი, ე. (2009). *მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის,* თბილისი.
2. მაღრაძე,ი.(2013, ივლისი 13). The Art Of Rap. ტაბულა.ლინკი: https://bit.ly/2RWZIdZ
3. სთორი ჯ.,(2007). *კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა,* თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები. ლინკი: https://bit.ly/2edmM5N
5. შამილიშვილი მ.(2017-2018). პოპმუსიკის პოლიტიკა და პოლიტიკური მუსიკის ძირითადი გზავნილები.*კრიტიკა № 12-13.*
6. Allen, R.(2004).Popular music.UK.
7. Australian Human Rights Commission.(2002). Race Discrimination Unit. ლინკი: https://bit.ly/1oDtJL8
8. Brandellero, A, Verboord, M.,(2016). The Globalization of Popular Music, 1960-2010: A Multilevel Analysis of Music Flows.
9. Boyle., J, Hosterman., L & Ramsey D., (1981). Factors Influencing Pop Music Preferences of Young People. Journal of Research in Music Education, 47-55.
10. Hawkins, H.,(2002). Settling the Pop Score Pop Texts and Identity Politics. (გვ. 110-136)
11. Jang, S, Lee, H., (2014). When Pop Music Meets a Political Issue: Examining How “Born This Way” Influences Attitudes Toward Gays and Gay Rights Policies.
12. Manno, L.(2018). In Today's World, All Music is Political. Paste Magazine. ლინკი: https://bit.ly/2JgpiaU
13. Longhurst, B. (2007) Popular Music and Society. UK, Cambridge.
14. Oh, I, Lee, H. (2014). K-pop in Korea: How the Pop Music Industry Is Changing a Post-Developmental Society. Cross-Currents: East Asian History and Culture Review, 72-93.

15. Street, J., (2012). Music and Politics. British Journal of Politics & International Relations.UK
16. Street, J., Frith, S., & Straw, W. (2001). *Pop and Rock*.UK.

Ivane Javakshishvili Tbilisi State University

Badri Kobiashvili

The Reception of cultural and ideological values of Pop music in Georgian mass media

Mass Communications and Media Research

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Mass Communication and Media Study

Under the direction
of Mari Tsereteli
Associate Professor

Tbilisi, 2019